

სოციალ-დემოკრატიული საპარტიო და სალიბერალური გაზეთი

კვირა, 23 სექტემბერი. 1907 წელიწადი პირველი.

საპარტიო, სამეცნიერო და სალიბერალური გაზეთი

„ს ა რ ს ა რ ი“

გამდის 1907 წ. 16 სექტემბრიდან, კვირასი ერთსულ.

ერთი წლით ღირს 3 მ., ნახევარი წლით 2 მ., ცალკე № 5 კ.

განცხადება—წინა გვერდზე პწკარი 10 კ. უკანასკნელზე 5 კ.

ფოსტის ადრესი: *Кутаись, редакция „Сарсა“.*

ზ ი ნ ა ა რ ს ი:

ქართველი დებუტატები სახელმწიფო სათათბიროში.—სიტყვა ვლასა მგელაძისა, თქმული ი. ჭავჭავაძის დასაფლავებაზე.—პრესა.—ისევ დაღამდა, ლექსი ვ. ჩხარუხაძისა.—სწვდასწვა ამბები.—საკვანტო, მათუსალასი.—ნაწყვეტები წარსულიდან, ივ. გომართელისა.—მოღვაწეთა მოღვაწეთა, წელკავისა.—ჩვენი ქალაქის თვითმართველობა, გრ. ნასარიძისა.—სახალხო შკოლა დასავლეთ ვეროპაში, ვ. ოზიელისა.—კავკასიის პროფ. კავშირთა კონფერენცია.—ხარახთა შეგირდების და ქარგლეზის გაფიცვა ქუთაისში.—ფოტის ამბები.—სამეგრელო.—მუხიანის რაიონი.—თეატრი.

ქართული დემოკრატია

სახელმწიფო სათათბიროში.

დაიწყო არჩევნები და ისინიც კი, ვისაც საქვეყნოთ ქონდა გამოცხადებული—არც სათათბიროს, არც მის არჩევნებს არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევთ, ჩაერიენ საქმეში იმ აზრით, რომ სოც.-დემოკრატის არჩევას ხელი შეუშალონ, რაო და ეს ქართველი ხალხისთვის საზარალო იქნებაო.


ჩვენი საზოგადოების „ზედა პირი“ კაი ხანია ცდილობს ყველა დაარწმუნოს იმაში, ვითომ ქართველი სოც.-დემ. დებუტატები როგორც პირველ დუმაში, ისე მეორეშიაც მთელი რუსეთის ხალხის წარმომადგენლობას ჩემულობდენ, რუსეთის ხალხის სახელით ლაპარაკობდენ და საქართველოს საჭიროებებზე კი კრინტიც არ დაუძრავთ, ვინაიდან მათ საქართველო არაფრათ მიაჩნიათო. ასე დაღადებენ „მარიონი ჩვენი ქვეყნისანი“: ბრწყინვალე თავადები, მემამულე აზნაურები, მღვდლები და ეგრეთ წოდებული ქართველი ინტელიგენტები, ის „მკონარე“, „ხანტი“ და „მოქმედე-

ბის უნარს მოკლებული“\*) ინტელიგენტები—ვექილები თუ ექიმები, მოხელენი თუ სხვა დაწესებულებებში შემძვრალნი, რომლებიც, მათი უმნიშვნელო ნაწილის გამოკლებით, პარაზიტათ ასხედან მშრომელ ხალხს. ამ წრეებში ყოველი ჭორი, თუნდაც სრულიათ დაუჯერებელი, გადამდებ სენივით ვრცელდება, თუკი იგი მიმართულია სოც.-დემოკრატების წინააღმდეგ. და ეს არც გასაკვირველია, რადგან სწორეთ სოც.-დემოკრატია იყო, რომ ამ წრეების საზოგადოებრივი მნიშვნელობა დასცა ხალხის თვალში და ამათი ხორცმეტობა დაანახვა მასას.

ჩვენ გვინდა პასუხი გავცეთ იმათ, ვინც, პარტიული სიმძულვარით შეპყრობილი, ინტელიგენტურ კინკლაობას აყოლია ან და, შეიძლება გულწრფელათ, მაგრამ უცოდინარობის გამო, მართლა ფიქრობს, რომ ქართველ ს. დ. დებუტატებს თავისი ქვეყნის პირვარამი არაფრათ მიაჩნიათო.

იმის გამოსარკვევათ, თუ რამდენათ უსაფუძვლოა ასეთი ყოველათ შეუსაბამო აზრი, საჭიროა ერთხელ და სამუდამოთ გავთავი-

\*) ბ. გესტის ინტერვიუ: იხ. „სარსი“ 1907 წ. № 193



სუფლდეთ იმ უტოპიურ ოცნებისაგან, ვითომ შესაძლებელი იყოს რუსეთში თვითმპყრობელობა იქნეს და საქართველომ კი ავტონომია ან ოლქობრივი თვითმართველობა მოიპოვოს დედაში ამაზე ლაპარაკით, ავტონომისტთა ჯგუფის შედგენით ან და ჰააგისაკენ ცუდლუტური ცქერით. ჩვენ კარგათ უნდა გვახსოვდეს ის ანბანური ქეშმარიტება, რომ ქართველი ხალხის ბედი მჭიდროთ შეკავშირებულია რუსეთის წესწყობილებასთან. და ვისაც უნდა, რომ ჩვენს ქვეყანას რაიმე შვება მიეცეს, ის ვალდებულია მთელი თავისი ძალ-ღონე სწორეთ რუსეთის რეჟიმის შეცვლისაკენ მიმართოს. ეს რეჟიმი მართია როგორც შიდა რუსეთისათვის, ისე ყველა განაპირა ქვეყნებისათვისაც, იგი ერთნაირათ სულს უხუთავს ყველა ხალხის უმრავლესობას—მუშებს და გლეხებს, რა კუთხეშიაც არ უნდა სცხოვრობდნენ და რა ტომისანიც არ უნდა იყვნენ: რუსები თუ ქართველები, ბოლონელები თუ მალოროსები, სომხები თუ ებრაელები. ამიტომ, როცა ქართველი ს. დ. დებუტატები „მთელი რუსეთის“ წესწყობილების წინააღმდეგ იბრძვიან, ეს არამც თუ იმას არ ნიშნავს, ვითომ ჩვენი ხალხის გაჭირვება მათთვის საზრუნველ საგანს არ შეადგენს, არამედ, პირიქით, ეს აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმისთვის, რომ საერთო რეჟიმის შეცვლა ხიდათ დაედოს გაჭირვებულ ქართველ მუშებისა და გლეხების პოლიტიკურ მდგომარეობის გაუმჯობესობას.

ჩვენს დებუტატებს იშვიათათ უთქვამთ სათათბიროში ისეთი სიტყვა, რომ ქართველი ხალხის ტანჯული ცხოვრება არ დაესურათებიათ მძვინვარე დესპოტიზმის დასაგმობათ, და ჩვენ არ გვესმის ის აშკარა შეუსაბამობა, როდესაც ასე უმართლოთ ირწმუნებიან, ქართველ დებუტატებს საქართველოზე „კრინტიც არ დაუძრავთ“. თუ მათ არ წარადგინეს დედაში ნაირ-ნაირი პროექტები კავკასიის ან საქართველოს პოლიტიკურათ მოწყობისა, ეს აიხსნება იმ პოლიტიკურ მომენტით, რომელსაც მთელი რუსეთი განიცდის. როცა ძველი პოლიტიკური შენობის ადგილას ახალი გვირგვინი ავაშენოთ,—ჯერ ძველი უნდა დაინგრეს და მერე ახალი აშენდეს. ეს სამი წელიწადია განმათავისუფლებელი მოძრაობა სწორეთ იქითკენ არის მიმართული, რომ ძველი რეჟიმი დაამხო, და სანამ ამ ხანას არ გავცილებივართ, ფუქსავატობა იქნებოდა ახლანდელი

მთავრობის წინაშე ჩვენი ქვეყნის მოწყობის რაიმე პროექტი წარგვედგინა. თანახმად დაკრავს საათი, როცა მთელი რუსეთის წესწყობილება და მასთან ერთათ ჩვენი კუთხისა ც ჩამოყალიბდება, მაგრამ ამას შეასრულებს არა დღევანდელი მდიდრების დედა, არამედ მთელი ხალხის ნამდვილი წარმომადგენლობა, სულ სხვა გზით და სხვა წესით მოწვეული.

დღეს-დღეობით კი სათათბიროში იმაზე ყვირილი, რომ საქართველოს ეს ესაჭიროება, საქართველოს ის ესაჭიროებაო, საქმიანობა კი არა ქარის წისქვილებთან ბრძოლა იქნებოდა და დაე იმათ იყვირონ, ვისაც ცარიელი სიტყვების რახა-რუხი ურჩევნია ღინჯ საქმიანობას...



**სიტყვა ვლასა მგელაძისა**

(ილია ქავკაძის საფლავზე თქმული).

მინდა ჩვეულებრივ მოკმართოთ და გითხრათ: ამხანაგებო! მარა სად არის ამხანაგები?! პირში ამხანაგს გიწოდებენ და შემდეგ გაგყიდიან... მინდა გითხრათ: მოქალაქეო! მარა სად არის მოქალაქე?! მკვეთრი და გაბედული სიტყვის მთქმელი? მოქალაქე-მებრძოლნი ასე გულ-გაგმირულნი და წამებულნი არიან მთელ რუსეთში, როგორც ჩვენ წინ მდებარე ილია! მარა დღეს მონური გაჩერება და დუმილი არ გვმართებს, რადგან თვით პოეტი ამბობს:

„ვერა განკურნოს მან მონის წყლული, ვინც თვით მონობას ემორჩილება“-ო.

თქვენ აშფოთებული ხართ და ეძიებთ მკვლელს და ვერ გიპოვიათ იგი. მკვლელი აქ არის,— ეს არის შეუგნებლობა და სიბნელე... ეს საზარელი ქურდული მკვლევლობა მოახდინა ბარბაროსობა-უკულტურობამ, ბოროტებამ და წყვდიადში ყოფნამ... რა აკეთებთ თქვენ ხალხის აზრისათვის, მისი გონების კულტურულ გაუმჯობესობისათვის? არაფერი შედარებით: სამკალი ფრიალ არს დამომკალი მცირედ. პოეტი სწერდა, რომ ხალხში მეტი სინათლე და განათლება შეტანილიყო და

„მაშინ უქმ სიტყვად არ იქნებიან ძმობა, ერთობა თავისუფლება, ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან კაცთ მოყვარება და სათნოება“-ო.

ამ თავისუფლებისათვის აზარდეთ ხალხი? ასწავლეთ დედებს, რომ შეიღებოსათვის ჩაენერგათ უკვდავი სიტყვები პოეტისა:

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი, შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმიდა საფარი!..“



არც ერთი არ გიქნიათ. არ ვიშრომიან, რომ ხალხს შეეგნო მისი ვინაობა და იგი ადამიანი გამხდარიყო... ხალხისთვის წამებულნი ხალხისთვის არ გაგიცვნიან. თვით ჯვარცმული ქრისტეს სიტყვები მოძღვართ თავიანთი კუჭის სასარგებლოთ გამოუყენებიათ და დღეს, როდესაც წინამძღვრობაა საქირო, სხვის ხელსახოცით გადაქცეულან. სამართლიანათ შენიშნავს მგოსანი:

„აგერა მღვდელნიც—ერთა მამანი—  
რომელთ ქრისტესგან ვალათ სდებიან  
ამა ერისა სულის აღზრდანი,  
რა რთვ გულ-ხელი დაუკრეფიან“!..

დაახ, გულ-ხელდაკრეფილები შეეყურებს ხალხი საუკეთესო შვილების წამებას...

პარტიები აირ-დაირიენ, ერთმანეთის აღარა გაეგებათ რა... ბევრი გახულიგანდა და შანტაჟისტათ იქცა... არ ყოფილა ისეთი მაგალითი, რომ შანტაჟისტობის გამო პარტიიდან გამოეირიცხოსთ რომელიმე წევრი.

ნუ თუ არ იციან პარტიებმა, რომ მათში არიან\*) უღირსნი, არა იდეური წევრები და რატომ ზომებს არ ღებულობენ?! არ არის პარტიათა შორის ერთმანეთის პატივის ცემა, პირადობის მოპყრობა... იდეური ბრძოლა, აზრის ქონება და შეხედულება გადააქციეს ლანძღვა-კინკლაობათ!.. რაკი შენ არ მოგწონს ესა თუ ის მიმართულება, ან მისი პიროვნება, ამისთვის ცოცხლათ დაგმარხვენ და გაწამებენ ზნეობრივათ. ჩვენ სასტიკ ბრძოლას ვაცხადებთ მათ წინააღმდეგ. ვინც პატივისცემით არ ეპყრობა მოწინააღმდეგეთა პიროვნებას—რა მიმართულების და სარწმუნოებისა კ არ უნდა იყოს იგი..

ჩვენ, მთელი ჩვენი არსებით აშფოთებული, წინააღმდეგობას ვუცხადებთ ილიას მკვლელებს და მათ, ვინც მშრომელი ხალხსკენ ტალახი გადაისროლა, ან გადაისვრის და პოეტის მოკვლაში ჩვენზე ეჭვი შეიტანა...

ჩვენ იმისთვის არ ვიბრძვი, რომ იდეურ მოწინააღმდეგე მებრძოლთ ტყვიებით შუბლი გავუხვრიტოთ, ფიზიკურათ ვაწვალ-ვაწამოთ—ჩვენ ინკვიზიტორები არა ვართ... ჩვენ იმისთვის არ ვლბებით ციხეებში, არ მივდივართ ციმბირში, სახრჩობელაზე, რომ მოხუც მანდილოსანს ყბები დავამტვრიოთ, ვაწამოთ... არა და ათასჯერ არა!.. ეს საზარელი ცილის წამებაა, სიკვდილია... აქ ილიას მკვლელობაზე უარეს დანაშაულს ჩადიან... იმათ, ვისთვისაც

\*) სხვა პარტიებისა რა მოკახსენოთ, მაგრამ რაც შეეხება სოც.-დემ. პარტიას დავარწმუნებთ ამხ. ორატორს, რომ აქ პარტიას დაუყოვნებლივ გამოუირიცხავს თავის წრიდან, თუ კი ვისთვისმე ცუდი რამ შეუძინებია. რედ.

ილია სწერდა, სილა გაართყეს — შეუტყუვეს... აქ მოღვაწე პარტიულ საკინკლაოთ გახადეს ამა თუ იმ მოწინააღმდეგეთა დასამარცხებლათ!.. ეს ჩვენ არა გვწამს. ჩვენ ყველა იდეურ მოწინააღმდეგეთ პატივს ვცემთ; ამის შეგნებაშია საქმე, რომ კულტურული ბრძოლა შესაძლებელი გახდეს...

ამ მხრივ მუშებზე შემცდარი აზრისანი არიან. ჩვენ მრტო კუჭისათვის არ ვიბრძვი—ჩვენ მთელი კაცობრიობის წინსვლას, მეცნიერების აყვავებას, ხელოვნების გაფაჩიხებ — გაშეგნებას ხელს ვუწყობთ, ამისთვის სიცოცხლეს ვწირავთ და საკაცობრიო ტრაპეზზე ვაქცეურათ ჩვენი თავი ზვარაკათ მიგვაქვს!..

თვით ილია რევოლიუციის ვულკანმა გამოაღვიძა. პარტიის რევოლიუცია ქვეყანას მოედო, რუსეთი აახმაურა და პოეტმა, რომელსაც ნიჭი და გული ქონდა, იგრძნო ეს და დასწერა: „ბორკილის მტვრევის ხმა მესმისო“, თავისუფლებაზე ალაპარაკდა და დღეს, როდესაც რეაქციის მიერ წათამამებულმა შეუგნებელმა ბოროტმა კაცმა, ეს ადამიანი, მისი მეტყველი ენა დაადუმა. — ყალბი პარტიული მოსახრებით ცილი მას დასწამეს, ვისთვისაც პოეტმა თვისი ჩანგი ააქდერა. — ეს საშინელებაა და ჩვენ ვურჩევთ ყველა პარტიებს, რომელიც უნდა იყოს, თავისი თავი გაწმინდოს... დღეს ყველა პარტიებში, ვიმეორებ ყველაში გამრავლდენ არა ნამდვილი პარტიის წევრები რეაქციის გამო. ესენი ქადაგობენ სანათლე-ქეშმარიტებას და თვით მოკლებულნი არიან ადამიანობას; მათ არა აქვთ გული, სათნოება, სიყვარული, სასოება და აბა რა იქნება მარტო ლაპარაკით?! გაიწმიდეთ თქვენი თავი ყველა პარტიამ, გახდით ღირსი მეთაურობისა და შემდეგ გამოდით ხალხის წინამორბედათ და მეთაურათ... ეს ტრიბუნა, რომელზედაც ახლა მე ვდგავარ, ხალხის სისხლით არის შეღებილი, წამებულთა ძვლებით არის აშენებული—იგი ძვირათ არის ნაყიდი... ანდერძი არის დატოვებული: ბრძოლა სრული თავისუფლებისათვის—სოციალიზმისათვის...

ნაცვლათ სწორი შეხედულობასა, პარტიები დაიბნენ და საერთო მტერს ვერ მიაგნეს—ვერ გამოიჩინეს პოლიტიკური სიმწიფე... საქართველო მოკვდაო, — სთქვეს, დღეის შემდეგ აღარ ვარსებობთო! გადაშენების გზას ვადგევართო!.. მე არ მესმის ასეთი პოლიტიკური შეხედულება!.. საქართველოს ერთი მიძინარე და მცონარი დღეს იღვიძებს, მან დღეს აღიმალა თავის ძლიერი მქუხარე ხმა და ქვეყანას ამცნო მისი არსებობა. მისი უფლებების დასაცვლათ ის დღეს სისხლს ღვრის, საუკეთესო შვილებს სახრჩობელაზე ისტუმრებს, მთელი ქვეყნის

ჩაგრულთ გვერდში ამაყათ ამოუდგა და ამცნო: თუმც ღრთა ბრუნვამ დაჩაგრა, მარა მალე მეც ღირსი ვიქნები განათლებული ერის სახელი მერქვა-სო! და ნუთუ, ეს სიკვდილია?! ერის გადაშენებაა თუ ზოგიერთთა გონების სიბრძავე-სილატაკია?! ნუ თუ ჩვენი მოძრაობა, დღემდის დაბეჩავებული ხალხის გამოღვიძება, საუკეთესო ლიტერატურის შექმნა ახალ ცხოვრებაზე — ეს გადაშენებაა, თუ გაგძლეება იმ ეკლიანი გზის, იმ პოემა-მოთხრობების, სადაც პოეტმა პირველათ აღნიშნა?! არა და არა!..

ილიას სიკვდილი, მისი დახვრეტილი შუბლი გვეუბნება, რომ კაცი ცხოვრებაში და წერაშიაც ადამიანი უნდა იყოს. — ეს ქეშმარიტება მაცხოვარმა წამებით დაგვიმტკიცა. — „კაცმა საქმე მოაგვაროს ვეჭვ ჭმუნვასა ესე სჯობდესო“ — ამბობს რუსთველი. მე, ავადმყოფი, საუკეთესო ამხანაგების დამკარგველი, ნაწამები ფიზიკურ-ზნეობრივით მოგიწოდებთ თქვენ არა სატირლათ და საგოდებლათ, არამედ საბრძოლველათ უკეთეს მომავლისათვის!. თუ მართლა გუღწრფელათ დასტირით ამ ძლიერი ბუნების მექონ ადამიანს, თუ გწადიანთ, რომ შეწყდეს ერთა შორის შუღლი და მტრობა, მოძმეთა შორის სისხლის ღვრა და ადამიანი ღირსი იყოს ამ სახელის ტარების, მაშინ გადაავლეთ თვალი რა ხდება დღეს მთელ რუსეთის სივრცეზე? როგორ იტანჯება მთელი ხალხი? მოწამლოულია ყოველივე... ებრაელს ვერ უთქვამს მისი ებრაელობა, სომეხს — სომხობა, ქართველს — ქართველობა და თათარს — თათრობა... ადამიანს ვერ გითქვამს შენი რწმენა, შენი ადამიანობა და მიმართულება!.. დედას ცოდვით უთვლიან შვილის აღერსს, მოხუცს — მრჩენალს ტაცებენ, შეყვარებულთ თიშვენ, წმინდა სიყვარულს დასცინიან და მებრძოლთ ყვა-ყორანთა საჯიჯგნათ ყრიან... ყველა ამას შეგვაჩვიეს, თითქო აქ არაფერია... ხსნა ერთია — ბრძოლა ბნელ ძალებთან შეერთებული ძალით, რომ დამყარდეს და შესაძლებელი გახდეს იდეური ბრძოლა. თუ გესურს, რომ ასე ფეხქვეშ სათელი არ იყოს აზრთა სხვადასხვაობა, სოციალურ ძალთა განწყობილებაზე წარმოშობილ პარტიებს თავის რწმენის გამოთქმისათვის ჯვარს არავინ აცვამდეს, მაშინ გაათქეცებული უნდა ვებრძოდეთ ყოველ გვარ სიბნელე-ბოროტებას და იმ გათახსირებულ წეს-წყობილებას, რომლის მიზეზითაც მოწამლოულია ყოველი ადამიანის ცხოვრება.

### პ რ ე ს ა.

გაზ. „ისარი“ ისე ხმას არ ამოიღებს, რომ ისეთი „ზდილობიანი“ სიტყვები არ იხმაროს, როგორც:

მაგ., „აყაყანდენ“, „ბრაზმორეულები“ და სხვა; მაგრამ ამას თავი დავანებოთ. ჩვენ გავკიცხეთ „ისარი“ იმ საზიზღარ ცილის წამებისთვის, რომლის მსგავსი მაგალითი სხვაგან არ ყოფილა პარტიათა ბრძოლაში, რადგან სწორეთ „ისარში“ იბეჭდებოდა მრავალი წერილები და ლექსები, სადაც ი. ჭავჭავაძის მოკვლას პირდაპირ ს.-დემოკრატებს აბრალებდენ, თითქო ეს ნამდვილი **შაქტი** ყოფილიყოს. ამისი მაგალითი ჩვენ შეგვიძლია არა ერთი და ორი მოვიყვანოთ, მაგრამ, ვფიქრობთ, გაზეთი ამას არ მოგვთხოვს. ახლა კი „ისარი“ ცთილობს თავისი სამარცხვინო საქციელი გადააფუჩჩინოს და ისე შეატრიალოს სადავო საგანი, ვითომ იმის ფურცლებზე მხოლოდ შემდეგი ყოფილიყოს დაწერილი:

„1) ილიას მკვლელობა პარტიის საქმე არაა. 2) **შესაქმნა** ილია, რომ ის მოჰკლეს პარტიის დაუკითხავათ... დარწმუნებულნი, რომ რევოლიუციას ემსახურებინ; 3) **თუ** \*) ეს ჩვენი მოსაზრება მართალია, მაშინ უნდა აღვიაროთ“ და სხვა.

რაც წინეთ გაზეთის ფურცლებს **უაჭვალ ფაქტათ** გამოქონდა, ახლა იმას უკანა რიცხვით „თუ“-ს უსვამენ წინ...

თავის მართლებაა, მა რა ჯანდაბაა!

იმავე ნომერში, სადაც „ისარმა“ „თუ“-ს ამოაფარა თავი, „მშრომელი პროლეტარიატისთვის ცნობილი მებრძოლი“, ბ-ნი კიტა აბაშიძე, თავის ავტობიოგრაფიასთან ერთათ, გვიხატავს მწარე გრძნობებს, მგოსნის მკვლელობით გამოწვეულს... სამწუხაროთ, ამ წერილშიაც, წინააღმდეგ „ისარის“ „თუ“-სი, ჩაქსოვილია „შურდულის“ თქმისა არ იყოს, ყოველათ უმართებულო ქარაგმები:


„ვიცოდი ვინ მოჰკლა, როგორ მოჰკლეს, რად მოჰკლეს... როცა „სახალწო“ თეატრის დარბაზში ტფილისში მოძღერის (ი. ჭავჭავაძის) სახელის ხსენება უნდადოთ, ამის მსურველს კინადამ სცემეს... დღეს კი... სიცოცხლე დაუმოკლეს...“

გაზ. „ზაკავაზის“ სწერენ საგურამოდან, სადაც განსვენებული პოეტი სცხოვრობდა:

„აღმოჩნდა, რომ საგურამოს გლენები უყურებდენ თავ. ი. ჭავჭავაძეს, მხოლოდ როგორც მსხვილ მემამულეს და შეძლებულ კაცს...“

20—25 აგვისტოს განსვენებული თავადის მოსამსახურეებმა მოახდინეს პატარა გაფიცვა: მათ დაიწუნეს ხორცი, უარი სთქვეს სადილზე და სთხოვეს მოურავს ჯაშს მოეხსენებია ეს თავადისთვის. მან უარი სთქვა. სთხოვეს იგივე ხელზე მსახურს — იაკობს. ამან აასრულა. თავადი გაჯავრდა და ყველა მოსამსახურეებს დაუძახა და-

\*) ხაზი ჩვენია. რედ.



სათხოვით, მეორე დღეს, 27 აგვისტოს, როცა თავილი თფილისში წასასვლელად ემზადებოდა, ყველა მოსამსახურეებმა, თ. ზაალ ჭავჭავაძის ჩაგონებით, რომელიც სტუმრად იყო განსვენებულთან, მოითხოვეს ამ უკანასკნელის წინაშე, და იმანაც, ჩვეულებისამებრ, აპატია მათ; თუმცა ერთმა მსახურთაგანმა, გიგოლა მოძღვრიშვილმა, როცა თავადს მოშორდა, მუქარით წაიბუტბუტა, რომ ჯაშუში, თავადთან დამბეზღებელი, ცოცხალი არ დარჩება. 30 აგვისტოს კი მოხდა ყოველთა საზიზღარი ბოროტმოქმედება. ისიც ეჭვს გარეშეა, რომ თავადის მოკვლის შემდეგ მისი სახლი გაძარცვეს“.

იგივე გაზეთი გვაცნობებს, რომ ი. ჭავჭავაძის მოკვლის თაობაზე დაუჭერიათ: ჭავჭავაძის მოურავი ჯაში, მოსამსახურე გიგოლა მოძღვრიშვილი და ქუჩერი ლაბაური.

ამ დღეებში ხმა გავარდა, ჭავჭავაძის ნაძარცვი ნივთები გურიაში ნახესო და ორი კაციც დაიჭირესო.



### ისევ დაღამდა.

ისევ დაღამდა. სხივი სინათლის საზარელ ბნელმა შთანთქა, დაფარა, ტანჯულ ქვეყანას მწუხარების შავი ზეწარი გადაეფარა!

ზღვა დგას უძრავათ, ხმა გაკმედილი, თითქო ძალ-ლონე გამოლევია, ძირს დაუშვია დროშა ბრძოლისა, გარს ნისლ-ბურუსი მოუხვევია!

და ვეშაპი კი დღესასწაულობს, თან ატრიალებს სიკვდილის ცელსა, მუსრს ავლებს ყველას, ვინც თაყვანს არ სცემს... უმანკო სისხლში იღებავს ხელსა.

ვხედავ რა მე ამ საზარელ სურათს, კაემნის ალი გულზე მედება, მაგრამ იმედსა მაინც არ ვკარგავ, მწამს: დაკრავს წამი, კვლავ გათენდება;

ზღვა ისევ მედგრათ დაიგრიალებს, ტალღა ტალღასა დაეჯახება, შემუსრავს ვეშაპს... და ჩვენს ბნელ ცაზე მზე სხივ გაშლილი გამობწყინდება!

3. ჩახრუხაძე.



### ხსენებას სხვა ამბები.

ქალაქის საქმეთა საკრებულომ უკვე დაამტკიცა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა (сметы). ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება ისე არავის გახარებია, როგორც ადგილობრივ ქალაქის შკოლების მასწავლებელთ.

ყველა მათი მოთხოვნები ჯამაგრიანად დაკმაყოფილებულია.

23 ენკენისთვიდან დაიწყებს მოქმედებას საკვირაო შკოლა, რომელიც მოთავსებული იქნება კ. ნიკოლაძის სახლებში (ივანოვის ქუჩაზე). შკოლაში მიიღებიან, როგორც ქალები, აგრეთვე ვაჟებიც განურჩევლათ ეროვნებისა, წოდებისა და სარწმუნოებისა. დროებით არჩეული გამგეობა შკოლისა მიმართავს თხოვნით ქალაქის მასწავლებელთ დახმარების ამოსაჩენათ შკოლის აღორძინებისა და მის გაუმჯობესობის საქმეში. სირცხვილიცაა, ქალაქში 270-თი მასწავლებელი იყოს და ერთ საკვირაო შკოლას ვერ უზატრონონ.

რეაქციამ წელში გაამაგრა სახალხო შკოლების დირექცია, მან მოთხოვა ქალაქის გამგეობას: შეუცვლელათ დაიცევით პირველ დაწყებით შკოლებში სამინისტრო პროგრამაო. აგერ სამი წელიწადი იქნება ქალაქის შკოლებში განახლებული პროგრამით ასწავლიან. ასე რომ დირექციის დამორჩილება ნიშნავს უკან დახევას, შკოლის ძველ დახავსებულ კალაპოტში ჩაყენებას. იმედია, ქალაქის გამგეობა შედგრათ დაიცავს თავისი შკოლების ინტერესებს.

15 სექტ. ბათუმში სასამართლო პალატამ გაარჩია ვარლამ გელაზანას პოლიტიკური საქმე, რომელიც სოც.-დემ. გაზ. „Стрѣла“-ს გამოცემისთვის შეუდგინეს, იგი დამნაშავეთ იცნეს და ერთი წლის ციხე მიუსაჯეს.

ამ ცოტა ხანში აბაშაში თავი შეუყრიათ მთელი სოფლის საზოგადოებისთვის და დაუვალეზიანათ პოლიტიკური დამნაშავენი მოგვეციოთო. იმათაც დაუსახელებიათ თურმე 14 პირი და მათ შორის რამდენიმე ღრმათ მოხუცებული ქალიც. რას ნიშნავს ეს?

21 სექტ. ქუთაისის, უკაცრავათ პასუხია, კადეტებმა გამოუშვეს, ფურცელი, რომლითაც ურჩევნ „ქუთაისის მოქალაქეებს“ აერჩიათ „ვიზორჩიკებად“: 1) დავით ნიკოლოზის ძე ბაქრაძე, 2) ივლიანე გრიგოლის ძე ანჯაფუარიძე და 3) სვიმონ ალექსანდრეს ძე საყვარელიძე (?)

მაგრამ იმ დღესვე კადეტებმა უღალატეს დავით ბაქრაძეს და იმის მაგივრათ წამოაყენეს მეორე უფრო გამოჩენილი „საზოგადო მოღვაწე“ მიხეილ დარახველიძე.

ჩვენ გადმოგვეცეს, რომ გუშინ, ქალაქის ვიბორშიკების არჩევნებზე, გამეფებული იყო, თურმე, წარმოუდგენელი აღვირ-წახსნილი უწესოება: კომისიის წევრნი გამოძიებას ახდენდენ თურმე, ვინ მისცა ამრჩეველს ბიულეტენი, ვინ ყავს ჩაწერილი და სხვა. და რაკი ს. დ. კანდიდატების სახელს გაი-

გონებდენ ან თვალს მოკრავდენ, — ბიულეტენს უხევედენ. ყველაზე უფრო ფართაშობდა „ინტელიგენტი“ ვარ. ჭილაძე. ქალაქის თავიც ხელს უწყობდათ.

\*\*\* გუშინ მემამულეთა არჩევნებზე გაცილებით სჭარბობდა მსხვილი მემამულეები. აირჩიეს ვიბორ-შიკებათ: ლავ. ნიჟარაძე, ვლ. მიქელაძე, ბიქტორ ჩიჯავაძე და თენგიზ ერისთავი.

\*\*\* გუშინვე მოხდა გლეხების რწმუნებულთა მხრივ ორი „ვიბორშიკის“ არჩევა. რწმუნებულნი ბლომათ ჩამოვიდენ ქუთაისში.

\*\*\* ამ რამოდენიმე დღის წინეთ ქუთაისის საგუბერნიო ციხეში დატუსადებული შვილის სანახავდ მისულა საფირჩხის მცხოვრები ბესარიონ გვენეტაძე. როცა დაუჩხრეკიათ, თურმე წყლის სასმელ „კრუჟკის“ ძირში უნახავთ ყალბი პასპორტი, რომელიც შვილისთვის მიქონდა. საწყალი მამაც დაუტუსადებიათ.

\*\*\* 21 სექტ., დილას, ქუთაისში ჩამოვიდა კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე გენ.-ლეიტ. შატილოვი.



ს ა კ ვ ა ნ ტ ო .

შავი ქვის მრეწველთა სიეზღზე მიმეჩქარებოდა. ბულვართან წინ შემეხეხა ჩემი მეგობარი.

— გავიმარჯვეთ! გავიმარჯვეთ! გიორგის პარტიას ბღღვირი ავადინეთ! საბჭო ქიათურაში გადაგვაქვს! — ზღრასტამდის მომახალა მან.

— მოიცა! მოიცა! ეს სიხარული ნაადრევია. გიორგის, როგორც გეტყობა კარგათ ვერ იცნობ. ამნაირათ ხომ ამ ხუთიოდ წლის წინეთაც და იმაზე კიდევ წინეთაც გავიმარჯვეთ და გადაიტანეთ საბჭო ქიათურაში, მარა, ვერ მოგართვეს, ვერ გადაიტანეთ! ვერც ახლა გადაიტანთ! გიორგი ვანა ქიათურაში წამოვა?!.

— არ წამოვა და ქე წავა შინ. მართალია დაგვემუქრა, მე იქ წამომსვლელი არ ვარო და ასტავკაც შემოიტანა, მარა მისი მუქარა შეგვაშინებდა? თუ არ ინებებს, მიბძანდეს, ბატონო, მის მეტი კაცი დეილია თუ?

— არა, კაცი არ დალეულა, მარა დამიჯერე, საბჭოც აქ დარჩება და გიორგიც. საბჭოსა და გიორგის ერთმანეთისაგან მოშორება მე ვერ წარმომიდგენია. გიორგი და საბჭო, საბჭო და გიორგი ისეა ერთმანეთზე გადაკვანძულ-გადახვლანჯული, რომ ვერავითარ ძალას მათი განცალკევება არ შეუძლია. მოაშორე გიორგი საბჭოს — ეს იქნება საბჭოს მო-

სზობა, მოაშორე საბჭო გიორგის — ეს ჩინიერება ნადგურება იქნება, და აბა, ამისთანა სისულელის რომელი ქუეთამყოფელი ჩაიდენს! ეს, ჩემო კარგო, მარტო შენ არ გცოდნია, თვარა სხვა მრეწველებმა კარგათ იციან და ამიტომაცაა, რომ, თუმცა საბჭოს ქიათურაში გადატანა რამდენიმეჯერ გადაწყდა, დღესაც აქაა, ქუთაისში.

მართალია, გიორგის ძალიან უყვარს შავი ქვის ქუქუი, რომლითაც მრეწველები ქისებს იტენიან, მარა ის მეტათ ფაქიზი კაცია და საშნლათ ეჯავრება შავი-ქვის ქუქუი, რომლითაც მუშები ფილტვეს იტენიან. არა გიორგი ვერ წამოვა ქიათურაში და საბჭოც აქ დარჩება.

კარგი, გიორგის თუნდ თავი დავანებოთ, მის ინვალიდებს რაღას ეუბნები? ისინი დაგთანხმდებიან იქ წამოსვლას? მერე რომელი ეკიპაჟით გინდა ისინი ქიათურაში წაიყვანო?! ახლა საშასაც არ კითხვა? ან ბარიშნები რას იტყვიან!

არა და არა. არც ესენი წამოვლენ ქიათურაში!!

\* \* \*

როგორც განცხადებიდან შეიტყობდით, 27 ამ თვისთვის მოწვეულია შავი ქვის საჯანგუბო კრება. აი, ამ დღეს უნდა გადაწყდეს საბოლოოთ საბჭოს კითხვა. გიორგის ინვალიდებს ველარ იცნობთ... არჩევნების წინ, რაღაც მანქანებით, ოცი წლის ქაბუკებათ გადაქმნილან და საშინელ ფაცაფუტში არიან. ისინი გაცხარებულ აგიტაციას ეწევიან, რომ საბჭო ქუთაისში დარჩეს. დარჩება კიდევ. მარა ზოგიერთი აყვიები როტავენ, გიორგის გამარჯვება არც ისე საიქედლა. მას კვანტს გამოკრავს მისივე მეგობარი, მის მუხლებზე გაზდილი და მასთან ნაპურმარილვეი და თვედაყირა დაამხოზბსო.

აბა ეს რა დასაჯერებელია! ტყუილია, ტყუილი! მე მტკიცედა მწამს, რომ გიორგის ვარსკვლავი ჯერ კიდევ კაშკაშათ ბრწყინავს მაღლა ცის ცქიტში და, როგორც ზემოთ მოყვანილ საუბარში ვამტკიცებდი, საბჭოც აქ დარჩება და გიორგიც, და თუ ეს ასე არ ასრულდეს, შეგირცხვესთ

მათუსალა.



ნაწყვეტები წარსულიდან.

პლატონი დაიბადა 429 წელს ქრისტეს წინეთ მდიდარ ოჯახში. სასწავლებელში პლატონმა დიდი ნიჭი და სწავლის წყურვილი გამოიჩინა. თანამედროვე მწერლობას და მეცნიერებას ხარბათ დაეწაფა. შემდეგ მიებარა გამოჩენილ ფილოსოფოსს სო-



ქართული  
ენების  
მეცნიერება

კრატს და მისი ხელმძღვანელობით სწავლობდა ფილოსოფიას. თავისი განათლების დასამთავრებლათ პლატონი შეუდგა შემდეგ მოგზაურობას და მაშინდელი განათლებული ქვეყნები მოიარა. შემდეგ ის დაბრუნდა ათინაში, დააარსა აქ შკოლა და მალე გაუყარდა მას გამოჩენილი ფილოსოფოსის სახელი. ურიცხვი ახალგაზრდობა მოდიოდა მასთან სხვადასხვა კუთხიდან ცოდნის შესაძენათ. პლატონმა დატოვა ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები, რომელთა შორისაც საუკეთესო საზოგადოებრივ წყობილებას გვჩვენებს მისი პოლითეია. კეთილდღეობა, სიმშვიდე და სიწყნარე მხოლოდ იმ სახელმწიფოშია შესაძლებელი, სადაც სამართლიანობაა გამეფებული, სწერს პლატონი; ამიტომ ის სამართლიანობის სახელით ითხოვს არსებული წყობილების ძირიანათ შეცვლას. პლატონის აზრით ყოველი სახელმწიფოს უმთავრესი მოვალეობა არის მცხოვრებთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ადამიანის უპირველესი მოთხოვნილება არის საზრდო, შემდეგ სადგომი და ბოლოს ტანისამოსი. აქედან ცხადია, რომ სახელმწიფოს პირდაპირ საზრუნავს შეადგენს მეურნეობა, ხუროთმოძღვრება და მრეწველობა. რადგანაც შრომა უფრო ნაყოფიერია მაშინ, როცა ის განაწილებულია სხვადასხვა ადამიანთა შორის, ამიტომ პლატონის აზრით ყოველ ადამიანს დავალებული უნდა ქონდეს რაიმე განსაზღვრული საქმე. ეს შესაძლებელია მაშინ, როცა საზოგადოების წოდებებით დაყოფა მოისპობა და ყველა გათანასწორდება ჩამოშლულით. პლატონის აზრით სახელმწიფოში არც თავადი უნდა იყოს, არც გლეხი, არამედ ყველანი მოქალაქეებათ უნდა ითვლებოდნენ. რადგანაც სახელმწიფოს დაცვა სჭირდება გარეშე მტერთაგან, ამიტომ საჭიროა მუდმივი ჯარი. საქმე ახლა იმაშია, ვინ უნდა იყოს ჯარის კაცი, ვინ მეურნე, ვინ მრეწველი, ვინ აქიმი და სხვა? იქნება ყველამ ჯარისკაცობა მოინდომოს, ან იქნება მეურნეობას არავინ არ მოკიდოს ხელი? ამგვარი უთანხმოების თავიდან ასაცდენათ საჭიროა საყოველთაო სავალდებულო განათლება.

პლატონის სახელმწიფოში ბავშვები დედამამს კი არ ეკუთვნიან, არამედ სამშობლოს. ყოველი დაბადებული ბავში მიყავს მთავრობას და ზღის მას საზოგადო სახლში. სწეულ ბავშვებს შიმშილით ხოცავენ, რადგანაც სწეულები სამშობლოსათვის მხოლოდ მაზარალებელი არიან. თუ ბავშვს აზრდის ღრღინა ბოროტი მიდრეკილებანი დაეტყო და გასწორება ყოველათ შეუძლებელი შეიქნა, პლატონის აზრით ამგვარი ბავშვებიც შიმშილით უნდა დაიხოცონ, რადგანაც ისინი ვნების მეტს არაფერს მოუ-

ტანენ საზოგადოებას. თუმცა განათლებული იქნებიან სქესი ერთნაირს იღებს, მაგრამ ქალები ცალკე იზღებიან, ვაჟები ცალკე. მასწავლებლები თავიდანვე სამშობლოს სიყვარულში უნდა ზღიდნენ ბავშვებს და უნერგავდნენ მათ იმ აზრს, რომ ისინი მთელი თავისი არსებით სამშობლოს ეკუთვნიან და არა თავის თავს. როდესაც ბავშვებს შეეცუებათ თავთავისი ნიჭი და მიდრეკილებანი, მაშინ მათ ამზღელები ყოფენ სხვადასხვა ჯგუფებათ და ერთი სწავლობს მეურნეობას, მეორე რაიმე ხელობას, მესამე აქიმობას და სხვა, იმის და მიხედვით, ვის რისი ნიჭი უფრო ექნება. ყველაზე უფრო ნიჭიერებს, გულადებს და გულკეთილებს ამზადებენ სამხედრო ხელობისათვის. ამათ ზედმიწევნით უნდა შეისწავლონ თანამედროვე მეცნიერება, მწერლობა, ისტორია და სხვა. პლატონს არა სწამს რა იმ ჯარისკაცისა, რომელიც უმაღლესათ არ არის განათლებული და განვითარებული. პლატონის სახელმწიფოში სამხედრო წოდება მოკლებულია ყოველ გვარ კერძო საკუთრებას. ისინი დგანან საერთო სადგომებში და სადილობენ და ვახშობენ ერთათ. ყოველიველი, რაც მათთვის საჭიროა, ეძლევა მათ მთავრობისაგან, ამ რიგათ სამხედრო პირებს პლატონის სახელმწიფოში ყველაფერი საერთო აქვთ და ცხოვრობენ კომუნისტურათ. „საუკეთესო სახელმწიფო ის არის, საცა ეგრეთ წოდებული კერძო საკუთრება სრულებით უცნობია და ყოველიველი საერთოა,“ სწერს პლატონი. რადგანაც პლატონს არა აქვს იმედი, რომ კერძო საკუთრება ერთბაშით და ადვილათ მოისპოს, ამიტომ იმის სახელმწიფოში დანარჩენ მოქალაქეებს შეუძლიათ კერძო საკუთრება იქონიონ, ხოლო მთავრობა სხვადასხვა ზომებსა ხმარობს, რომ კერძო პირთა ხელში სიმდიდრემ თავი არ მოიყაროს. პლატონის სახელმწიფოში მემკვიდრეობა არ არსებობს და ყოველი მოქალაქის სიკვდილის შემდეგ მისი ქონება სახელმწიფოს რჩება საერთო საჭიროებისათვის. სამხედრო წოდებიდან ყველაზე უფრო განათლებულებს, ნიჭიერებს, პატიოსნებს და გულკეთილებს ირჩევენ მთავრობის წევრებათ. მთავრობა ყოველგვარ კერძო საკუთრებას მოკლებულია. ქალები და მამაკაცები თვისი უფლებებით პლატონის სახელმწიფოში გათანასწორებული არიან.

გამოაქვეყნა თუ არა პლატონმა თავისი თხზულება სახელმწიფოს საუკეთესო წყობილების შესახებ, ის იმედს არა კარგავდა, რომ რომელიმე მთავრობა ისარგებლებდა მისი აზრებით და გადააკეთებდა თავისი სახელმწიფოს ცხოვრებას პლატონის შეხედულების თანახმათ. ცხოვრებაში რომ ქონებრივი თანასწორობა იყოს და სიმდიდრე და სიღარიბე არ

არსებობდეს, მაშინ მთავრობაც არსად იქნებოდა. მთავრობა დაიბადა მაშინ, როდესაც საზოგადოებაში სიმდიდრე და სიღარიბე გაჩადა. მთავრობა ღარიბებს კი არ დაუწესებია,—რათ უნდოდათ მათ მთავრობა, რა ქონდათ მოსავლელი, ან საპატრონებელი? მთავრობა შემოიღეს მდიდრებმა თავისი უპირატესობის, მდგომარეობის, ქონებისა და კეთილი ცხოვრების დასაცავათ და ხელში მისცეს მათ თავის მიერ შეთხზული კანონები ღარიბების ასალამაგათ. მთავრობა მდიდრების ნაწილია, მდიდრების სისხლი და ხორცი და მისი მიზანი ხალხის კეთილდღეობა და ბედნიერება კი არ არის, არამედ მდიდარი ბატონების კეთილი ცხოვრება. მთავრობა იმას კი არ ცდილობს, რომ ხალხის ცხოვრება საუკეთესოთ მოაწყოს, არამედ მხოლოდ იმას, რომ მდიდრების ფუფუნება და ბედნიერი ცხოვრება დაიცვას. აქედან თავისთავათ ცხადია, რომ თუ ქვეყნის საქმეს მთავრობა ავით მართავს, ეს იმიტომ კი არ ემართება, რომ არ იცოდეს და არ ესმოდეს, რაში გდგომარეობს კარგი მმართველობა და რა ესაჭიროება ხალხს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ამგვარი მართვა სწორეთ მდიდრებისათვის საჭირო და ხელსაყრელი. ის, რაც ღარიბი ხალხისათვის სასარგებლოა, მდიდრებისათვის საზარალოა; ის, რაც ღარიბებისათვის კარგია, მდიდრებისათვის ცუდია; რაც მდიდრებისათვის სასიკეთოა, ღარიბებისათვის დამამხობელია, და მთავრობა კი მხოლოდ იმას ცდილობს, რომ მდიდრების მდგომარეობა დაიცვას; თუ ამისათვის საჭირო გახდა ღარიბი ხალხის შევიწროება, შეაფიწროებს; თუ ამისათვის საჭირო შეიქნა ღარიბი ხალხის გაყვლეფა, გაყვლეფავს კუდის რიკამდე; თუ მდიდართა ბატონობის და მდგომარეობის დასაცავათ საჭირო შეიქნა ღარიბი ხალხის აწიოკება და ამოხოცვა, მთავრობა ააწიოკებს და ამოხოცავს,—ერთი სიტყვით ყოველი მთავრობა ისე აწყობს ცხოვრებას და ისე იქცევა, როგორც ეს მდიდრებს მოუხდებათ.

როდის მოხდა, რომ რჩევითა და დარიგებით მგელა კრავათ გადიქცა და ცხვრების გლეჯას თავი დაანება, რომ ამა თუ იმ მთავრობამ ვისიმე რჩევის ზეგავლენით ხალხის ტყავებას თავი დაანებოს და მისი სიკეთისა და კეთილდღეობისათვის იზრუნოს? ფილოსოფოს პლატონს სწამდა თავისი ნიჭის სიძლიერე და მთავრობის პატიოსნება და ამიტომ დარწმუნებული იყო, რომ რომელიმე მთავრობა მისი რჩევით ისარგებლებდა. პლატონი დიხხაც ძლიერი ნიჭის პატრონი იყო, მაგრამ მთავრობის პატიოსნებაში კი მოტყუვდა: მისი რჩევით არა თუ არც ერთმა მთავრობამ არ

ისარგებლა, როდესაც ის სიცილიაში გაემგზავრა „პატიოსან“ და ფილოსოფოსების მოყვარულ შეფესთან, რომ მას პლატონის აზრების მიხედვით მოეწყო თავისი სახელმწიფო, მეფის მოხელეებმა ისე საუცხოვოთ მიიღეს პლატონი, რომ ხორციცა და ძვალიც კინადამ სიცილიაში დაატოვებინეს! პლატონმა დროზე უშველა თავს, გამოასწრო ათინაში და თავისი ცდა მეფისა და მთავრობის პატიოსნების გამოსაცდელათ მეორეთ აღარ გაუმეორებია, თუმცა ღრმა მოხუცებულებამდე იცოცხლა,—პირველი ცდაც ძალიან ძვირათ დაუჯდა რაღმე!

საბერძნეთი თანდათან ჩამოქვეითდა. პლატონის სიკვდილის შემდეგ საბერძნეთი ფილიპე მაკედონელმა დაიპყრო და ორი საუკუნის შემდეგ ის რომაელებს დაემორჩილა.

ივ. ზომართელი.

(შემდეგი იქნება)

# პატარა ფელეტონი.

## მოღვაწეთა მოღვაწიოა.

ჩვენში რომ არავითარი საზოგადო საქმე არ ხეირობს, ეს ვგონებ, ყველასათვის ცხადია. ან კი როგორ უნდა იხეიროს რამემ, როცა ყველა, ვისთვისაც კი ბედს ურგუნებია მსუქან ღუმელთან მოკალათება, თავის უწმინდეს მოვალეობათ სთვლის, არავითარი საქმე არ აკეთოს და, რაც შეიძლება, მეტი სანსლოს. ამნაირათ გლეჯენ და ძიძგნიან უწყალოთ ყოველივეს, რაზედაც კი კლანჭები მიუწვდებათ. ბევრი სასიკეთო და სასარგებლო საქმე დაწყებულა ჩვენში, მარა ზოგი დაწყებისათანავე გამქრალა და ზოგისაც უკანასკნელი დღეები დათვლილია. მიზეზი, რასაკვირველია, ბევრია, მარა უმთავრესი — ჩვენი მოქალაქობრივი მოუმწიფობლობაა. ჩვენს საკუთარ საქმეზე საკუთარი ხელისა და ტვინის ამუშავების ჩვეული არა ვართ. მუდამ სხვას შევყურებთ ხელში, მუდამ სხვისგან გამოველით ჩვენი საქმის გაკეთებას. უაპეკუნოთ ცხოვრება არ შეგვიძლია. ბედათ თუ საუბედუროთ აპეკუნებიც საკმაოთ მოიპოვება ჩვენს კურთხეულ ქვეყანაში. ვისაც ჩვენი მრავალტანჯულ სამშობლოს შესახებ პტყელ-პტყელი, მალაღფარღოვანი სიტყვა კი წარმოუთქვამს, მასთან ჩვენს პრესაშიაც იმავე თემაზე ორი-სამი წერილი დაუჯდაბნია — ყველა აპეკუნია. —კაცო, რა კარგათ ლაპარაკობს! რა შევნივრათ სწერს!.. აი, ნამდვილი მამული შვილი, აი, მარილი სოფლისა! მოგვხედა ღმერთმა, ჩვენს ბედს აწი





ძალით არ დაყვეს! აი, ამას უნდა მივანდოთ საქმე, როგორც საკუთარს, ისე მოუვლის. — დაღლებს ბრბო და ყოველ საზოგადო საქმეში ჩასჩინა რავს. რაკი აპეკუნობის პატენტი ხელთ იგდებ, თუნდ არავითარი საქმის უნარი ვერ გამოიჩინო, აპეკუნობა მაინც შეგერჩება. მე რამდენიმე ვიცი ძალათ მაცხონე აპეკუნები, რომლებმაც ბევრი ძლიერ სასარგებლო საქმე მოახრჩვეს, მარა დღემდის კიდევ აპეკუნობენ. ერთხელ შედგენილ აზრს ბრბო ძნელათ გამოიცვლის. ჩვენი აპეკუნებიც სარგებლობენ ამით და გააქვთ და გამოაქვთ.

ღიახ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბევრ სასიკეთო საქმეს ამოხადეს სული ჩვენმა უებრო მოღვაწეებმა. რაღაც სასწაულით ჯერჯერობით გადაჩინათ საადგილ-მამულო ბანკი. თუმცა მას დღიდან დაარსებისა ყოველი მხრით დამშეული მგლებივით ეხვევიან და უმოწყალოთ ძიძგიან, მარა დღემდე კიდე ძირი ვერ გამოუთხრიათ. სწორეთ საოცარი ცხოველყოფელი ძალა უნდა იმარხებოდეს ამ ბანკში, რომ ამდენი წეწვა-გლეჯა აიტანა და დღემდე კიდევ წელში არ მოხრილა.

უთუოთ გემახსოვრებათ „კალისტრატიადა“ ანკი როგორ არ გემახსოვრებათ ის დრო, როცა მწერალი და არა მწერალი, ორატორი და ბლუ—კალისტრატეზე მალაყს გადადიოდა. ახლა რაში მდგომარეობდა, რა იყო კალისტრატიადა? არაფერი, სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა... კალისტრატე იყო ბანკის მართველათ. დღიდან დაარსებისა ბანკს არავინ შეებერებია, ხან ერთი იყო მართველათ, ხან მეორე, ხან მესამე... ბოლოს კალისტრატესაც ერგო მართველობა. მაშ რამ ააჩოჩქოლა ეს ხალხი, — იკითხავთ. რამ და კალისტრატე არ ეკუთვნოდა იმ მოღვაწეთა ოჯახს, რომელნიც ყველგან აპეკუნობენ. კალისტრატეს ბანკის მართველათ გახდომა, ეს მათთვის პირიდან ლუკმის წაგლეჯა იყო, წმინდათა-წმინდა საკუთრების ხელშეუხებლობის ფეხქვეშ გათელვა იყო, და აი ამიტომაც ასტეხეს განგაში ჩვენმა ინტელიგენტ მოღვაწეებმა. — მერვე ვინ იყო ეს სიშიშარი კალისტრატე? — ჩვეულებრივი მომაკვდავი. უპირველეს ყოვლისა მოქაზრაკე, ძეღეცხე, როგორც მისი მოწინააღმდეგენი და მეორეთ — ჩვენებური ძველებური ტრადიციის აზნაური. კლიენტს რომ საქმის დასაცავათ ასიანს გამოართმევდა, ერთ კაი სადილს აქმევდა და კარგა გამობრუყულს გაუშვებდა შინ. კლიენტები ბლომით ყავდა და ამიტომ მისას თითქმის ყოველ დღე იყო „ჯიხვთა ტრიალი...“ კალისტრატეს საქმეც რომ წაეგო, კლიენტი უმადური მაინც არ რჩებოდა, რადგანაც კალისტრატეს მოპირდაპირენი — ცნობი-

ლი მოღვაწეები — ასიანსაც გამოართმევდნ და სადილსაც არ აქმევდნ. ამიტომ კალისტრატეს პურმარილის წყალობით წვრილფეხა აზნაურობაში ბევრი ნაცნობ-მეგობარი ყავდა. თუმცა კალისტრატე თავით ფეხებამდის ინტელიგენტი იყო, და მის მოწინააღმდეგეებზე ნაკლები დიპლომიც არა ქონდა, მარა ზოგიერთი ძველებური აზნაურული ჩვეულება სჭირდა: საკურდღლეში „პოი, პოის“ გაჰკიოდა და მიმინოს უწრუბუნებდა. ამნაირ კაცს ჩვენი მოღვაწეები აბა როგორ შეითვისებდნ, მარა ჩვენს თავად-აზნაურობას კი მოსწონდა და მაჭუტაძიდან კალისტრატეს საუკეთესო ნათელ-ყვითელი მიმინო მოსდიოდა საჩუქრათ და წერეთლიდან მწვევარ-მეძებრები. აი, ეს კალისტრატე გახლდათ, რომელმაც განსვენებული დაღიანის შემდეგ ბანკის მართველათ თავისი კანდიდატურა წამოაყენა. ახლა 50 — 60 თავად-აზნაურთა და მსესხებელთა რწმუნებულნი იკრიბებიან და ესენი სწყვეტენ ბანკის საქმეებს, მაშინ კი ყოველი აზნაური, ვისაც კი ცენზი ქონდა, სიხარულით მოეშურებოდა ბანკის კრებაზე. ხშირათ კრება ისე მრავალრიცხოვანი იყო, რომ თეატრის დარბაზში არ ეტეოდა.

აი, ამ პირობებში მოუხდა კალისტრატეს თავის კანდიდატურის წამოყენება. გამარჯვების იმედი თუმცა უეჭველი იყო, მით უმეტეს რომ სამეგრელოდან მეტოქე არავინა ყავდა, მარა მაინც გაჩაღდა რიონის პირას ცეცხლი... ზოგან მწვადი შიშხინებს, ზოგან ბეჭი იხარშება, სტუმარი მიდის და მოდის. რიგი დგება, რიგი ჯდება. ერთ სტოლს რომ მაკრინე დასტრიალებს, მეორეს კალისტრატე უმასპინძლდება. აღისუბნის წითელი უხვათ ისხმის და ისმის. აქ რომ მრავალჟამიერს იმღერიან, იქ ხელხვაესა და ვახტანგურს აფუგუნებენ. ყველა მხიარულია, ყველა კმაყოფილი, სტუმარიც და მასპინძელიც.

თუმცა დიდნი თავადნი და სხვილი მემამულენი ჩვენი ნაფიც მოღვაწეებისაკენ იყვენ, მარა დამარცხდა არისტოკრატია და გაიმარჯვა დემოკრატია — კალისტრატე ბანკის მართველათ არჩეულ იქნა და გახდა ის დღესა მას ნაკანსა მოღვაწეთ, ხოლო მოღვაწეთა ნაფიცთა მათ იგი არ იცნეს და ოჯახსა თვისსა არ მიიღეს.

ასეთ ლაფის დასხმას ჩვენი მოღვაწეები აბა როგორ მოითმენდნ! ასტყდა ბრძოლა, ბრძოლა სამკვდრ-სასიცოცხლო. აწრიბინდა კალმები, ჩვენი დღიური, თუ თვიური პრესა კალისტრატეს ლანძღვა-თრვეით აივსო. — ვინ ხარ მამაცი, სამშობლო განსაცდელშია, კალისტრატემ სადილ-ვახშმით ხალხი გარყვნა, ბანკს ჩაყლაპავსო, — გაიძახოდნ ჩვენი


ქართული  
საბჭოთაო


ძალათ მაცხოვნები, მარა ვერ გასქრა მათმა გოდებამ, კალისტრატემ ბანკა ვერ ჩაყლაპა და მეორე არჩევანზედაც გამარჯვებული გამოვიდა. მაშინ კი მიხვდენ ჩვენი ქუთის კოლოფები, რომ, სანამ ამ „სადილ-ვახშმებით გარყვნილ ხალხს“, ე. ი. წვრილ ფეხობას თავიდან არ მოიშორებდენ, მანამ კალისტრატეს, ვერ სძლევდენ, და სადაც ჯერ იყო და არა ჯერ იყო, თხოვნა თხოვნაზე აფრინეს. თხოულობდენ ბანკის კრებების წესრიგის შეცვლას, თავად-აზნაურთა და მსესხებელთა რწმუნებულების მიერ ბანკის საქმეების მოკლავატრონობას. საჩივრებით თავმოებზრებულმა მთავრობამ იფიქრა, ამათ უაპეკუნოთ არათფერი ეშველებათო და დააკმაყოფილა მათი თხოვნა: საზოგადო კრებების ნაცვლათ რწმუნებულთა კრებები დააწესა, კალისტრატე ვადაყენა და მის ნაცვლათ აპეკუნი გამოგზავნა. აპეკუნის დანიშვნა ჩვენს მოღვაწეებს არ ექაშნიკათ მარა იმედობდენ, რაკი კალისტრატე თავიდან მოვიშორეთ, აპეკუნიც დიდხანს არ დარჩება და შემდეგ ბატონობა ისევ ჩვენ დაგვრჩებაო. მარა რანაირათ მოტყუედენ უბადრუკნი! კარგა ხანია თხოულობენ, მოვმწიფდით, დავვაჟკაცდით, აპეკუნი აღარ გვექირვება, თავიდან მოგვაშორეთო, მარა არ აშორებენ ლე არა. მათი გენიოსობის ნაყოფი, რწმუნებულთა კრებაც ვერ გამოდგა მათთვის სასარგებლო. ადვილათ მოსასყიდ „სადილ-ვახშმებით გარყვნილ ხალხს“ რომ თავიდან იშორებდენ, ის კი ველარ მოიფიქრეს, რომ თუ ათასისა და მეტის მოსყიდვა ადვილათ შეიძლებოდა, სამოციისა და ოთხმოცის კიდევ უფრო ადვილი იყო. მოსყიდვა, ფრჩხილებში უნდა მოგახსენოთ, ზუთხი რომ არ აქამო და შ-- 4 მანეთი არ მისცე, სხვაფრივაც შეიძლება. ამ გარემოების წყალობით წარსული „კალისტრატიადა“ ლამის ჩაჩრდილოს დღევანდელმა ღაჭითადაც. ეს ამბავი ძლიერ აღონებთ ბანკის ყველა ნამდვილ გულშემატკივრებს, მოღვაწეებს და არა მოღვაწეებსაც, მარა ყველა მოკუნტულა, ხმა ვერ ამოუღია. თუმცა გული მის წინააღმდეგ გესლითა და ბაღმითა აქვთ სავსე, მარა პირში ყველა უცინის, უბატონოთ არ მოიხსენიებენ. მართალიც არიან. მის ხელში ჩემი მტერი ჩავარდა! მე ხომ წაქაჩავა ვარ და ვაი მისი ბრალი, ვისაც მე დავემართები, მარა მის წინააღმდეგ აშკარათ გალაშქრებას, წარმოიდგინეთ, ვერც მე ვაგებდავ. დავითი? დავითი ძლიერი, ძღაქრ ძღაქრნი კაცია...

წელკავი.

ჩვენი ქალაქის თვითმართველობა.

ქუჩებს მართო სისუფთავე არ ეყოფა. ქალაქის ცხოვრების პირობები ისეთია, რომ მცხოვრებლებს უნდა შეეძლოს ქუჩებზე დამეც იარონ. ამისათვის საჭიროა ქუჩების რიგიანათ განათება. ჩვენ ვიცით მხოლოდ სამნაირი განათება: ნავით, გაზით და ელექტრონით. ყველაზე უფრო მდარე და თან ძვირიც არის ნავით განათება; ნავით განათებასთან შედარებით გაზით განათებას უპირატესობა უნდა მივსცეთ, მარა ყველაზე უმჯობესია ელექტრონით განათება. მართალია ელექტრონით განათების პირველი მოწყობა კარგა ძვირათ დაჯდება, მარა სამაგიეროთ ელექტრონს სინათლეც უფრო ძლიერი აქვს, ვიდრე დანარჩენ სინათლის გამომცემ ნივთიერებათ. პირველი მოწყობაა ძნელი, თორემ შემდგომისთვის ელექტრონით განათება უზომო მოგებას მისცემს ქალაქს. როგორც უფრო იაფს და უფრო იდეალურს, მცხოვრებლები შემოიღებენ კერძო ბინების, სავაქრო და ყოველგვარ სახლების ელექტრონით განათებას. ელექტრონის მომცემ ძალას უფასოთ და უხვათ და ამასთან მუდამ მოგვეცემს ბუნება. ეს ძალა არის ჩვენი რიონი. ახლა ჩვენს ქალაქს აქვს შეზღუდული ქუჩების ნავით განათება, ე. ი. უმდაბლესა საფეხური განათებისა. კიდევ კარგი იქნებოდა, რომ ყველა ქუჩა ერთნაირათ იყოს განათებული, ქალაქის განაპირა უბნებში ალაგ-ალაგ ისე ბნელა, რომ თითს თვალით ვერ მიიტან. თუ სადმე წვეტიანი სარია ვაღმოდუნჯლი, ისე წამოგები ზედ, რომ ვერ გაიგებ. ცუდი კაციც ამისთანა სიბნელით ძლიერ მოხერხებულათ სარგებლობს. თუ ამას ზედ დაურთავთ ქუჩების უვარგისობას, სუყველაფერ ხიფათს რომ გადურჩეთ, ფეხის მოტეხას მაინც ვერ გადარჩებით, მგონი. ამას წინათ უფ. ლოლაძემ საცდელათ დასდგა ოთხი გაზით გასანათებელი ფარანი. ვინ იტყვის უარს ნავით განათებასთან შედარებით გაზით განათების უპირატესობაზე, მაგრამ ელექტრონით განათება რომ სჯობია, ამაზე ლაპარაკიც მეტია. ელექტრონით განათების პირობები წარმოუდგინა ქალაქის გამგეობას ბ. ლალიძემ, რომელმაც წინა წლებში საცდელათ ოთხი ელექტრონის ფარანი კიდევ დასდგა ქალაქის შუაგულში. გამგეობამ და საბჭომაც პრინციპიალურათ მოიწონეს ქუჩების ელექტრონით განათება, მარა საქმით მალე გელირსებით ამას? ქალაქის გამგეობა ამ საქმეში კი-





დევ რაღაცას უცდის, მარა რას, ეს მხოლოდ ალ-  
ლახმა უწყის.

ქალაქის თვითმართველობა უნდა ცდილობ-  
დეს აგრეთვე მცხოვრებლებს მისვლა-მოსვლა, მოძ-  
რაობა გაუადვილოს. განსაკუთრებით ამას უნდა  
ცდილობდეს ღარიბ მცხოვრებლებისათვის. უფრო  
იაფ მოძრაობის საშვალებას წარმოადგენს ტრამვაი  
ან, როგორც ჩვენში ეძახიან „კონკა.“ რადგანაც  
შეიძლება კონკაზე ბევრი ხალხი დაეტიოს და, რად-  
განაც მუშტარიც ყოველთვის ბევრი ეყოლება,  
ტრამვაით მიმოსვლა იაფათაც ეღირება. რა ძვირფა-  
სი შეღავათი იქნება ეს იმ ღარიბ მცხოვრებლების-  
თვის, რომლებსაც საქმეების გამო ყოველ დღე დი-  
დი მანძილის გავლა უხვდებათ და კერძო ეტლით  
სიარულისთვის კი საღსარი არა აქვთ? პირველი მოწყ-  
ობა სთქვი, თორემ შემდეგ სულ ცოტა ხანში ერ-  
თი ათათ აინახლაურებს ქალაქი ტრამვაის გამარ-  
თვაზე დახარჯულ ფულს. რადგანაც ქალაქს თვი-  
თონ არა აქვს საშვალება ტრამვაის გასამართავათ,  
შეუძლია იმ ფირმას შეუთანხმდეს ამ საქმეში, რო-  
მელიც უფრო ხელ-საყრელ პირობებს წარმოადგენს  
და რამდენიმე წლის შემდეგ შეუძლია შეღავათია-  
ნათ და იაფათ შეისყიდოს ეს შემოსავლის უკვდა-  
ვი წყარო. მაგრამ გვაქვს განა ჩვენ ამნაირი საქმიან-  
ობის უნარი? ჩვენ მხოლოდ ვოცნებობთ და ვუც-  
დით, იქნებ თავისით გადმოვარდეს ზეციდან ამნაი-  
რი სიკეთე.

სუფთა წყალი სახმარათ ისევე საჭიროა მცხო-  
ვრებლების ჯანმრთელობისთვის, როგორც მზის სით-  
ბო და ჰაერი. ახლა მცხოვრებლები ხმარობენ დაუ-  
წყმენდელ მდინარის წყალს, რომელიც ხშირათ ტა-  
ლახს უფრო გავს, ვიდრე წყალს, როცა წვიმებია,  
დედამიწის ზედაპირის უსუფთაობა ირეცხება და  
მდინარეში ჩაღის; ამას ზედ ისიც დაჟმატეთ, რომ  
ქალაქის ზემო ნაწილი ძლიერ მჭიდროთაა დასახლე-  
ბული და ეს აუარებელი მცხოვრებლები, არხების  
უქონლობის გამო, ყოველ-ნაირ უსუფთაობას რიონ-  
ში უშვებენ. მართალია სახელმწიფოს კანონებით  
აკრძალულია მდინარის ამგვარი გაბინძურება, მა-  
რა ცხოვრების აუცილებლობის კანონი უფრო  
ძლიერია, ვიდრე დაწერილი კანონი. მცხოვრებლებ-  
მა რა ქნან, ხომ ვერ დაიხრჩობიან ნეხვში და ტუქუ-  
ში? ასეა თუ ისე, ათასგვარ უსუფთაობისაგან შე-  
ზავებული მდინარის წყალი უნდა იხმარონ მცხოვ-  
რებლებმა სასმელათ და საქმელებისთვის. რაღა გა-  
საკვირველია, რომ ჩვენს კურორტულ ქუთაისში მთე-  
ლი წლობით სახადი მძვინვარებდეს და ათასობით  
სხვერპლს იწირავდეს. შეიძლება გულუბრყვილო  
მკითხველმა გაიფიქროს, აქიმები რას შვრებიან, რა-

ტომ არ ეცდებიან და ამ სენს არ მოსპობენ. მა-  
რა აქიმები ამ შემთხვევაში უძლიერი ხერხები იყენებ-  
ლით სახადის მოსპობა არ შეიძლება. აქ ჰიგიენუ-  
რი პირობები პირველ როლს თამაშობს. მოაწყვეთ  
წყლის-საყვანი და მაწოდეთ მცხოვრებლებს სუფ-  
თა წყალი, გააკეთეთ უსუფთაობის სადენი მილე-  
ბის ქსელი და ეს ავთამყოფობა თუ სულ არ მოის-  
პობა, ძალიან ძვირათ ვისმე შეხვდება. ქუჩების  
მორწყვაც ხომ მაშინ ადვილი საქმე იქნება და ჩვე-  
ულებრივათ მტვერი აღარ დაგვახრჩობს. მაშინ იო-  
ლი იქნება ბაღების მორწყვა, შადრვენების მოწყო-  
ბა და სხვა და სხვა. ახლანდელი ჰიგიენისტები ხალ-  
ხის კულტურის გამომხატველ ერთ უმთავრეს ნიშ-  
ნათ იმას სთვლიან, თუ რამდენი წყალი იხარჯება  
საშვალო რიცხვით თვითეულ პირზე. რაც უფრო  
მეტი იხარჯება, მით უფრო მაღალი კულტურის  
მატარებელია თვით ხალხი. მალე ველირსებით ქუ-  
თაისლები წყლის-საყვანს? უნდა სიმართლე სთქვას  
კაცმა, ჩვენი ქალაქი დიდი ხანია ცდილობს წყლის-  
საყვანის მოწყობას. მართლაც რიგიანი პატრონი  
რომ ყოლოდა ჩვენს ქალაქს, წყლის-საყვანი ახლა  
გაკეთებული გვექნებოდა. ერთ დროს დიდი აურ-  
ზაური ასტეხეს ქუთაისში, წყლის-საყვანი ამ ცოტა  
ხანში მზათ გვექნებოდა. ეს აურ-ზაური პრესაშიც  
გადავიდა. მართლაც რამდენიმე წყაროს წყალის ნი-  
მუშები გაუგზავნეს ადესაში პროფესორ პეტრია-  
შვილს გამოსაკვლევათ. ვითომ საქმე გაიჩარხა. მა-  
რა შენ-ჩემობით, ნაცნობობით და ძმობა-მეგობ-  
რობით ეს საქმე ქალაქის მამებმა იმისთანა ავან-  
ტიურისტს ჩაუგდეს ხელში, როგორიც ინჟინერი  
მიხაილოვი აღმოჩნდა. მან ვითომ დაიწყო კიდევ  
წყლის-საყვანის კეთება, არქიელის გორაზე ორი  
დიდი აუზი აავო წყლისთვის, ხალხს იმედები გაუ-  
ღვიძა, პაიების ფული დასტყუა და როცა საკმაოთ  
მოხვეტა, გზას გაუდგა. ეს ვაჟბატონი ბ. ბ. ზდა-  
ნოვიჩისა და ჩიმაკაძისაგან ტალანტათ აღიარებული  
პირი ბძანდებოდა. რომელიმე ფირმისათვის რომ  
გადაეცა წყლის-საყვანის გაკეთება ქალაქის თვით-  
მართველობას, იმისთანა ფირმისთვის, რომელსაც  
არ ეძმობ-ემეგობრებოდენ ჩვენი ქალაქის მამები,  
ახლა წყლის-საყვანი მზათ გვექნებოდა. ჩემი ხმოს-  
ნობის დროს მხოლოდ ერთხელ ჩასწერეს სიაში  
წყლის-საყვანის საკითხი საბჭოს მოსახსენებლათ.  
მომხსენებელმა საბჭოს სხდომაზე დაიწყო კიდევაც  
ლაპარაკი ამ საინტერესო საკითხზე, მაგრამ საკმაო  
იყო რამდენიმე კითხვა მიგვეცა, რომ მომხსენებელს  
ვერაფერი ეპასუხებია. ამიტომაც ამ საკითხის გან-  
ხილვა, საკმაო მასალის უქონლობის გამო, გადას-  
დეს ვითომ რამდენიმე ხნით. მე კი მგონია, სამუ-

დამო დავიწყების გზას გაუყენეს იგი, და სულით და გულით ვუსურვებ ქალაქს, ჩემი ექვი მართალი არ გამოდგეს. დავარწმუნებ ქალაქის გამგეობას და საბჭოს იმაში, რომ თუ ამ ოთხ წელიწადში, რომლის განმავლობაშიც ისინი არიან არჩეული ქალაქის ბედ-იღბლის მესვეურებათ, წყლის-საყვანის მეტს არაფერს შესძენენ ისინი ქალაქს, მათ მოღვაწეობას ძვირათ დააფასებს ჩამომავლობა.

გრ. ნასარიძე.

(შემდეგი იქნება).



### სახალხო შკოლა დასავლეთ ევროპაში.

(ბ. ფლიტის წერილებიდან)

ჩვენ ვილაპარაკებთ მხოლოდ სახალხო შკოლებზე, რომელშიაც გადადიან შვიდი წლის ბავშვები, ეგრეთ წოდებულ „დედათა შკოლებიდან“ (материнскія школы) თვითეულ საზოგადოებას, რომელშიაც კი 500 სული მცხოვრები ითვლება, აქვს ერთი სავაჟო და ერთი საქალო შკოლა. შკოლებში ასწავლიან შემდეგ საგნებს: ა) ზნეობას (საღვთო სჯულის ნაცვლათ—мораль) ბ) მოქალაქობრივ უფლებას (гражданское право), გ) წერა-კითხვას, დ) არითმეტიკას, ე) გეოგრაფიას, ვ) ისტორიას, ზ) ბუნების მეტყველებას, ჰ) გემნასტიკას, თ) ხატვას, ი) ხელობას. სოფლის შკოლებში ამ საგნებს გარდა ასწავლიან კიდევ მებაღობას და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

სოფლის-მასწავლებელ ქალის მინიმალური ჯამაგირია 100 ფრანკი, მამა-კაცისა კი—ცოტათ მეტი. ამასთან მასწავლებელს ეძლევა შკოლასთან ბინა, შეშა და მოსამზახურე.

რომ ვიქონიოთ უფრო ნათელი წარმოდგენა შკოლებში მეცადინეობის მსვლელობაზე, აქვე მოგიყვანთ საქალო შკოლის გაცვეთილების ნუსხას:

სწავლა იწყება დილის 9-ზე და გძელდება 11<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათამდის. უმცროსი განყოფილება: წმინდა-წერა, გადაწერა, კითხვა, დასვენება, ხელსაქნარი მასწავლებლის მიერ მკაფიოთ და ხმა მალლა კითხვა.

საშუალო და უფროსი განყოფილება: ისტორია, გეოგრაფია, წმინდა-წერა, ხატვა, დასვენება, კარნახი, შეტომათა გასწორება (correction), გრამატიკა, მართლ-წერა, (redaction ou resumé).

სწავლა იწყება 1 საათზე და გძელდება 4 საათამდის. უმცროსი განყოფილება: ციფრების წერა, ადვილათ გამოსაცნობი ამოცანები, ზეპირი ანგარიში, მასწავლებლის მიერ ხმამალლა კითხვა, სხვადასხვა საგნების გაცნობა, წმინდა-წერა, გალობა.

საშუალო და უფროსი განყოფილება: მანერა-ში, ბუნების მეტყველება, მორალის (ზნეობის) გაცვეთილები, კითხვა, გალობა; შაბათობით საჩუქრების დარიგება. ეს ყოველ-დღიური საგნებია. ამას გარდა ხან გამოშვებით ასწავლიან: საფრანგეთის ლიტერატურას, კარნახს, ფიზიკას, საფრანგეთის ისტორიას, პოლიტიკურ ეკონომიას.

როგორც ვხედავთ, აქ სწავლა სწარმოებს ნამდვილ პრაქტიკულ ნიადაგზე და მჭიდროდ შეფარდებულია ცხოვრების პირობებთან. ტყუილა კი არ უთქვამს კურიეს (Курье): „რა უნდა ასწავლოთ ბავშვებს?!“ —ის, რაც უნდა გააკეთონ მათ, როცა გაიზდებიან და ცხოვრებაში შევლენ.

და ეს დევიზი საფუძველია მთელი საფრანგეთის შკოლის წესწყობილების. დასასრულს უნდა ვთქვათ, რომ მოქალაქობრივ აღზდას შკოლაში ფართოდ ადგილი უჭირავს. აი, მაგალითათ, მოგიყვანოთ პროგრამიდან ნაწყვეტები:

**სასზოგადოება.** განსხვავება საზოგადოებრივი კლასების, თავისუფლება შრომისა, ასოციაცია, გაფიცვები, მუშის ღირსება.....

**მეუწნეობა.** გლეხთა შორის მწიგნობრობის გავრცელების აუცილებელი საჭიროება; განსხვავება სხვილ მემამულესა, ფერმერსა, და მიწის მუშათა შორის.

**სახელმწიფო.** რა არის საზოგადოება, მუნიციპალური საბჭო, დეპუტატთა პალატა, მთავრობა, საკანონმდებლო უფლება, ადმინისტრაცია და სხვა.. უფლება და მოვალეობა თვითეულ მოქალაქის საფრანგეთში, პოლიტიკა, პოლიტიკური პროგრამები..

როგორც პროგრამიდან სჩანს, საფრანგეთის შკოლის უმთავრესი ზრუნვა გამოიხატება მოქალაქეთა ჰემმარიტ ნიადაგზე აზდაში; მიზანი აზდისა—ჩაუნერგოს მოსწავლე ახალგაზდობას გულში შეგნება დიადი ზნეობრივი, მოქალაქობრივი მოვალეობის, მოამზადოს ბავში საზოგადო მოღვაწეობისთვის, გახადოს იგი თავისუფალ მოქალაქეთ. ასეთ შკოლის ორგანიზაციას ხელს უწყობს: საშკოლო კასები, ბიბლიოთეკები, პროფესიონალური კავშირები მუზეუმები...

ნაყოფიერი მოღვაწეობა პედაგოგიურ სარბიელზე, თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი ცხოველ-მყოფელი სული, საუკეთესო შკოლის შენობები, მთავრობის განუწყვეტელი ზრუნვა მყოფადი თაობის აზდაზე—ყველა ამან სულ მოკლე დროში ააყვავა საფრანგეთის შკოლა და დააყენა ის თავის განვითარების უმაღლეს წერტილზე.

იმ დროს, როდესაც რუსეთში მოსწავლეთა რიცხვი შკოლებში არ აღემატება—2,357,552,—

საფრანგეთში—4,211,912 სულს უდრის, იმ დროს, როცა რუსეთში თვითეულ 100 სულ მცხოვრებზე მოდის 2, 6 მოსწავლე, საფრანგეთში—11, 1....

მარლამ თბილისი.

**მუშათა ცხოვრებიდან.**

**კავკასიის პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენელთა კონფერენცია.**

ამ დღეებში დასრულდა კავკასიის პროფესიონალურ კავშირების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო თფილისის, ბათუმის, ქუთაისის და ჭიათურის დელეგატები. ფოთის კავშირის სისუსტის გამო იქაური წარმომადგენელი არ ყოფილა. ბაქოდან რატომ არავენ დაესწრო არ ვიცით.

დღიურ წესრიგში მთავარი ადგილი ეჭირა სრულიათ რუს. პროფ. კავშირთა სიეზდის კითხვას. კრებაზე თავი იჩინა აზრთა სამმა მიმდინარეობამ. ერთი ნაწილი იმას ამტკიცებდა, რომ, სანამ ჩვენ ჩვენი მოქმედების ასპარეზი არ გავციფართოვებთ და ერთი მეორის შეკავშირება სასურველ ნიადაგზე არ დაგვიყენებია, სრულიათ მეტია სიეზდისთვის მზადება, მით უმეტეს, რომ ეს სიეზდერ ვერ იქნება ფართო პროლეტარულ მასის ნებისა და სურვილის ნამდვილი გამოხატველი და შესაფერ დირექტივის ე. ი. სახელმძღვანელო ძაფის მიმცემი. რადგან რუსეთში სიეზდის მოხდენა სიტყვის ფართე მნიშვნელობით შეუძლებელია პოლიტიკური პირობების გამო ამიტომ უფრო სასურველია მოწვეულ იქნეს კონფერენცია, რომლის დადგენილება არ იქნება იურიდიულათ სავალდებულო.

მეორე ნაწილი ამბობდა, რომ არც სიეზდი და არც კონფერენცია სრულიათ რუსეთისა ამ ჟამათ საჭირო არ არის, არამედ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ კავკასიის საოლქო კონფერენციით, და ამის საბუთათ ის მოყვადათ, რომ საჭიროა ჯერ თვითონ ადგილობრივათ გავმაგრდეთ, გავლონიერდეთ, შესაფერი ნიადავი მოვაშალოთ. ამას ადგილობრივი კონფერენციაც კი შესძლებს; ამასთანავე ნივთიერი სიღარიბეც არ უნდა დავივიწყოთ.

მესამე ნაწილი ამხანაგებისა გადაჭრით აღიარებდა რუსეთის სიეზდის მოწვევის საჭიროებას და მისთვის ენერგიულ მზადებას. ვერც რუსეთისა და ვერც კავკასიის საოლქო კონფერენცია—ამბობდენ ამ აზრის მომხრენი,—ვერ გამოგვიყვანს გაჭირვებიდან, რადგან ერთიც და მეორეც იქნება უღონო, უძლური და, როგორც საპნის ბუშტი, გაქრებაო.

საქმე ის არის, რომელი უფრო შეუწყობს ჩვენს, საერთო საქმეს და რომელი იქნება საერთო მტრის უფრო თავ-ზარ დამცემი,—აი ამას უნდა გავსცეთ პასუხი. ჩვენთვის რომ მტკიცე და მაგარი ორგანიზაცია საჭიროა—ეს აშკარაა მხოლოთ საკითხი ის არის, რა უფრო შეუწყობს ამას ხელს, როდის უფრო მივალწვეთ საერთო მიზანს. პასუხი აშკარაა: სრულიათ რუსეთის სიეზდი. რას მოგვცემს ის? იმას შეუძლია რუსეთის პროფ-კავშირებს მისცეს საერთო სახელმძღვანელო ძაფი, ან დირექტივები, რომლებიც იქნება როგორც ზნეობრივი, ისე იურიდიულათ სავალდებულო და ამით რამოდენიმეთ მაინც ბოლო მოეღება ანარქიულ მოქმედებას,—ის თავის ავტორიტეტით ხელს შეუწყობს საერთო საქმის კარგ და მტკიცე ნიადაგზე დაყენებას დღევანდელ შავ-ბნელ რეაქციის დროს. ამისთვის კი მუშათა უპარტიოპარლამენტის მოწვევა, რომლის მეოხებით ჩვენ შემთხვევა გვექნება ჩვენს ამხანაგებს გავაგონოთ თავისუფალი სიტყვა, თავისუფალი აზრი, სადაც დაიგმოზა ყოველგვარი უსამართლობა და ძალმომრეობა რუსეთის მუშების წინააღმდეგ,—ძლიერი იარაღი იქნება რეაქციის გასარღვევათ და მუშათა კლასში ინდიფერენტის შესასუსტებლათ. რაც შეეხება პოლიტიკურ პირობებს, უჭკველია, რომ თუნდ კონფერენციაც იქნეს ჩვენში მაინც ვერ მოხდება, არამედ უცხოეთში. მართალია, ნივთიერი პირობები ხელს არ გვიწყობს, მარა საქმის მთლიანობა და ინტერესი გვაძალებს ტყავი გავიძროთ და საქმე მით არ შევავფერხოთ.

დღი კამათის შემდეგ მიღებულ იქნა უკანასკნელი აზრი.

განხილულ იყო სხვა საკნებაც: მაგალ., საერთოთ კავშირების მდგომარეობა და გაზეთის საქმე. რაც შეეხება პიზველს, კავშირები და მათი მოქმედება სუსტათადა დაყენებული; საჭიროა მეტი მუშაობა, მეტი შრომა და ენერგია, რომ საქმე საქმეს დაემზგავსოს. გაზეთის საქმეც ვერ არის კარვათ დაყენებული, რადგან თვით კავშირები არ ხელმძღვანელობდენ მას, ახლა კი ყველა ცენტრებს დავალა, რომ თავიანთ გაზეთს თვითონ უპატრონონ, და, იმედია, საქმეც გაიხარხება. აქვე უნდა აღვნიშნოთ გაზეთის საჭიროება როგორც ქართულ ისე სომხურ და რუსულ ენებზე. ესეც, თუ შეძლება იქნება, თფილისელ ამხანაგებმა დავალეს. მხოლოთ პროვინციელ ამხანაგებს სთხოვენ ერთდროულ დახმარებას ძველი ვალების გასასტუმრებლათ.

ამას შემდეგ კრება დაიხურა.

მარნელი.

### ხანაშთა მოჯამაგირეების და შევირდების გაფიცვა ქუთაისში.

აგერ მეშვიდე კვირაა, რაც ადგილობრივ ხარაზებს მოჯამაგირეები და შევირდები გაეფიცენ. მოთხოვნილებები, რომლებიც მათ თავიანთ ადებს წარუდგინეს, არ იყო ისეთი ხასიათის, რომ თანამედროვე პირობებში მათი განხორციელება შეუძლებელი ყოფილიყო. უმაჯრესი მოთხოვნილებები იყო შემდეგი: 10 საათის სამუშაო დრო, ჯამაგირის მომატება მანეთზე 20 კაპ., თვიური მუშაობა, ოთახის ქირა და სხვა.. 10 საათის სამუშაო დროს პირველი ადგილი უჭირავს ხარაზების მოჯამაგირეთა და შევირდების მოთხოვნილებებში და ბედშივი მუშები თავგამოდებითაც იბრძვიან მის განსახორციელებლათ. 10 საათის სამუშაო დროა მათი მიზანი — იმ დროს, როდესაც დანარჩენ სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებებში უკვე 8-9 საათის სამუშაო დროა შემოღებული. მიუხედავად ამისა მადგახსნილ ხაზინებს ასეთი სამართლიანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც არ სურთ და, როგორც გადმოგვცეს, **ი. მესხს** ერთ სამიკიტნოში ფიციც კი მიუღებინებია თავის თანამოძმეთათვის შემდეგი სიტყვებით: „მე რომ სახლში ხატი მისვენია, მისი მადლი გაურისხდეს იმას, ვინც ჩვენგან მოჯამაგირეები და შევირდები დააკმაყოფილოსო“.

მოგების სურვილს მაინც უჯობნია ძლიერი ხატისათვის. ოთხიოდე ხაზინთაგანი კიდევაც თანხლებიან მუშების უმთავრეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, ზოგიერთი — შემოკლებით. არც ძაქარავას, **ს. ჯვარიშვილის** და **იოს. ბაბუნაშვილს** განურისხდება მესხის ხატი, თუ მუშების სამართლიან მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებენ.

გაფიცულია სულ ასამდე მომუშავე: 60 ქარგალი და 40 შევირდი. მიუხედავად ამისა, რომ გაფიცვა ამდენ ხანს გაგძელდა, მუშები მაინც მხნეთ არიან და მუშაობის დაწყება მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლათ ფიქრათაც არ მოსდით.

დათიკო.

### ფოთის ამბავი.

16 სექტემბერს, დღით, ადგილობრივ თვითმართველობის დაზღაწში, გამართა ამრეკელთა წინასწარი კრება, რომელსაც დაესწრენ მსოფლიო რამდენიმე „ღვასნები“ და გაჭრები, რადგან კრების ინიციატორთ არაკითარი ზომის არ მიეღოთ, რომ სსკებსაც შეეკეთო.

რეორც ორატორთა სიტყვებიდან გამომდინარე მუშების მიზანი ყოფილიყო მსოფლიო ას, რომ გაეფიცათ ცრუ სმები, ვათამ ბ-ნი ნ. ნიკოლაძე „ვიბორ-შნიკობასე“ უუთს არ იდგამსო. ბ. ნიკოლაძის ქება-დიდებაში ორატორები ერთმანეთს ეჯობებოდნენ. განსაკუთრებით ამ მხრივ გასცვიფრებული ნიჭი გამოიხიან ანდრი ყვანამ. მისთვის ჭკვიანი და ხასწავლი კაცი არ არსებობს თვინიერ ნ. ნიკოლაძისა. ღვასნი „რქი“ სთქვას ანტონ ასობაძემაც. მისი სიტყვა დაწრდილადა ანდრის მჭკრმეტყველებას, რომ გრძნობა-მოკრუეს მუტის მუტი ალეკება არ დატუებოდა.

მეორე კანდიდატით დასასხელეს „მოღენურაღე“ იონა მუხნარგია, რომელმაც ამ ბოლო დროს თავი ისახელა იმით, რომ იღაა ჭავჭავაძის საფლაკზე „გახუს-ჯულ თაობის“ წინააღმდეგ ცილის წამებით აღსავსე სიტყვას წამოსთქვა.

„ღვასნებსა“ და გაჭრებსა ორივე კანდიდატი მიიღეს.

ამბობენ, ანდრი ყვანას დიდი სიმპატია დაუმსახურება თურმე იონა მუხნარგიას თვალში, ასე რომ ამ უკანასკნელს შეძლევი გუმბეტებიც კი მოკლენია მისთვის:

ჩათახვი და ცალთვალა,  
ჭკვიანი შენისთანა  
არ მინახავს მე ხემს დღეში,  
მომავლია თუმც ქვეყანა.  
შენი ნიჭი და ტალანტი  
აბრწყინებს შენს სასკელსაო,  
შეეცადე „ვიბორ-შნიკათ“  
რომ გავიდე მე წელსაო;  
და მამის კი შეიმდეგას  
გადაცვლადე ღუმშიაო,  
და შენს ღვაწლს თუ დავივაწებ,  
შემიარცხება უღვაშიაო.  
მამ დაფაცრუდ-მომეხმარე,  
შენგნით კელი შეეღასაო  
მომიკრებე ბლამათ სმები,  
დაურე ყველასაო.

ბ. პელაშვილი.

18 სექტემბერს.

### სოფლის ამბავი.

**სამებრელო.** ჩკენი გლეხების მდგომარეობა ყოველთ უნუგეშაა. ჯერ იყო და მანისის და იენისის თევებსა საშინელმა სიტყვებმა გაასმო დედამიწა და ამ მიზეზით გლეხებმა კერ შესძლეს სიმიდის დათესვა; დადაგ თუ არა ენკენისთვე, ავადრები დაიჭირა, მთებზე თოვ-

ლი მოკლდა და ასლად ისეთი რივი ამინდების ჩვენში, რომ გაცნს შემოდგომის დამდეგი ვი არა, სამთრის ვი-  
 ი გუგონება. ამას გამო სიმიდი ისეკ მწვანეს, სიცი-  
 გე და ავდრები მას ვერ ამწიფებს. ამის შემსედგარე  
 გლესობა სსსოწკვეთილებს ეძლევა—გაქარ იმისი დი-  
 დება და ქვეყნის სამოთხე უნა. ვის მიმართოს გლესო-  
 ბამ, ვის გაუწოდოს ხელი, ვანა იმას, ვინც პურის ნაცრ-  
 ლათ მორთელს იძლევა? ამ გარემოების გამო ჩანსები  
 სამადის ფასს სასტუმაროუროთ უმატებენ. თუ ერთი  
 თვის წინეთ ფუთი სიმიდი 1 მან. 20 კ. ფასობდა,  
 ასლად 1 მან. და 40 კ. ავიდა. ავეირდები ამ გარემოებას  
 და გაცნაფებებაში მადახარ, თუ რა სსსოწკვეთი ასერ-  
 სებს ვიდევ გამკალტუვაებულა გლესობა დღევანდელ  
 მიმძილთან და სიძვირესთან ბრძოლას. ცხადსე ურს-  
 დესია, რომ სასტუმაროუროთ შამშალი უფრო შემადწი-  
 ნებულ სახით, ვინემ წრეულს, აუცილებელაა,—ამისი  
 უტყუარი ნიშნები დღეს ხელთ გვაქვს და, თუ დროზე  
 შევლას არ იქნა, მერე გვიანდა იქნება.

გლესობის კონომიურათ დაცემულ და აწიწილ-და-  
 წიწილ მდგომარეობას უფრო ამწვანებენ ქურდ-ბატონები  
 და მძარცველები—ეს რეაქციის ღვიძლი შეილება. ამ ნა-  
 ძარცვების თაგ-ხედობას საზღვარი არა აქვს და დღე და  
 დამ მოსვენებას არ აძლევენ სოფელს. ამისგამო მასრის  
 უფროსმა მოსთხოვა სოფელს ან ჯამაგირში ფოლოდათ  
 ასალი სტრახინიკები და :ნ თვითონ გასულიყვენ ღამე  
 ყარაულებათ. გლესებმა უგანსვენელი ირჩიეს და შეუდ-  
 გენ დამ-დამობით ყარაულობას. გლესებს მწარე გამცრ-  
 დილებამ დაუმტვიცა, რომ აქედან არა გამოვა რა (ღამის  
 ყარაულობა მთავრობის ნაცადი ზომას), მარა რა ქნას,  
 რომ წინააღმდეგ შემოსევებაში მათ აამოულებენ ინგუშები  
 დაიჭირან. დაჭირან გლესებმა მძარცველი და გადასცენ  
 ვისაც ჭკრ არს, მამინ სომ მერე დღესვე იქნება „на  
 поруки“ განთავისუფლებულა?

გლესობა არჩვენებს დიდი თანაგრძნობით და ხა-  
 ლისით კვიდება, მხურვალე მონაწილეობას ეღებულობს.  
 7-ს ამ თვეს ს. მარტვილიში წინასწარ მომხდარ კრება-  
 ხე დანიშნულმა ათისთავებმა ამოიჩიეს რი რწმუნე-  
 ბული, რომლებიც შემარცხენე პარტიას მისცემენ კენჭს.  
 ასეა სსკა სოფლებშიაც. თუ გლესები თავისთი მოქ-  
 ლაქობრივი მოკალეობის ასრულებებაში მხნეთ არიან, სა-  
 მაგიერით თავად-აზნაურობა—ეს გადაშენების გზაზე  
 დამდგარი წოდება, საზოგადოების მუწუხი და მეტწილ-  
 რნი, თავისთი მოკალეობის ასრულებებაში სრულ დაუ-  
 დგვრობას იწევენ. 13 ამ თვეს დ. ნაოდალეში წვრილ  
 შემამულეთა არჩვენების დროს 450 ამომრჩეველებისაგან  
 გამოცხადდა მხოლოდ 20 კაცი.

სოფ. საღისინოში ცნობილი მემამულე პრინციპს  
 მიურატი სცნობობს; ხალხმა წარსულ წლებში მასთან  
 ყოველივე კავშირი შეწყვიტა, რაიც ამ ბოლო დრომდის

გაგძელდა. საღისის შურის ძიების შემთხვეულს პრინ-  
 ცისას მთავრობის გაზაგები და სალდათები იცავდეს.  
 აქმდის იქ ბესარბიის პოლკის როტა იდგა, რომელიც  
 მთავრობამ, რადგან საჭიროთ არ დაინახა, უგან გაიწვია.  
 მაგრამ პრინციპსა შურის ძიების აზრდილი მოსვენებას  
 არ აძლევს, ყოველგან და ყოველთვის ელანდება და რო-  
 გორც უტყუარ წყარობიდან გავიკეთ, შემდგომლობს  
 გენერალ გუბერნატორის წინაშე გამოუტყვანონ ან გა-  
 ზაგები და ან როტა სალდათები. ამას წინეთ ვი პრინ-  
 ცისა საღისს შეგრაგდა (ყოველად სამდღელო ეპისკო-  
 პოსი გიორგი მაუძლოდა საღისს) და ადუთქვა მას დე-  
 დობრივი მხრუნეველობა და სიკარუფი (კაი საუფარუ-  
 ლაი შეაგულ სოფელში გაზაგებას ჩაყენება!) რსსაკვირ-  
 ველაი პრინციპსა დღესაც ვაგს სტრახინიკები, მარა  
 რაი სტრახინიკი მას მაურავს—ბერამქს უნდება, რაი  
 კობანიქს და რაიჯ ჯაფარამქს, ამასობაში-ვი სსსახლე  
 უჯაროთაა დარჩენილი.

კიდე ვიქნები.

14 ენენისთვე, 1907 წ. ს. მარტვილი.

**მუხიანის რაიონი.** 15 ივლისიდან ეველას სა-  
 ზოგადობაში ჩაყენეს ექვს-ექვსი „სტრახინიკი“ „ცუდი“  
 კაცების მოსაძებნ—დასაჭერათ. ამით შესახსნათ თითო  
 საზოგადობამ პრიგოვორის ძალით უნდა გადახადოს  
 წლიურათ 2500 მან პრიგოვორები შედგენილია ისე,  
 თითქო თვით ხალხმა ისურვა თავის ნებით „სტრახ-  
 ნიკების“ დაყენება და არა სხვის ძალდატანებით. ქა-  
 დლდსე ვი მოაწერეს ხელი, მარა ისედაც ათასწარი  
 გადასახადებით დატვირთულს, გამკალტუვაებულს და  
 შიმშილისაგან შეწუხებულ გლესობას როგორ შეუძლია  
 ამოდენა ფულის გადახდა. თუ არ გადახდა, დარბევის  
 გამათრახების და ოჯახის ათასწარი შეურაცხყოფის  
 შინაა.

ხალხის ფულით დაქირავებულნი „მშვიდობიანობის  
 მტკვლნი“ შეუდგენ მოკალეობის ასრულებას: დღე არ  
 გაიღის ისე, რომ არაინ დაჭირონ, ან არ გაამათრა-  
 სონ. გამათრახება დატყარს ვინ ჩავა, რომ სოცვას არ  
 დატვიწვებდენ. „მტკვლების“ სოფლებში დაბინავების შემ-  
 დეგ ქურდობა საქარლას, შინაური ფრინველის, ყურძნის,  
 ტაროინი სიმიდის ახეს—ჩვეულებრივ მოკლეწით გა-  
 დიქტა ხალხმა არ იცის, რა საშკალებას მიმართოს  
 „ასალ-მოდის“ ქურდების წინააღმდეგ; დაიჭირაკოს მათ  
 წინააღმდეგ სსკა „მტკვლები“, თუ თვით გაუმკლავდეს  
 მათ. „სტრახინიკების“ სოფლებში დაბინავებას რეაქციო-  
 ნური სისარულით შესვდენ: ასლად ჩვენი დროა, —აშ-  
 კარათ ამობენ. ცოტა მათი წყენა საკმარისია, რომ  
 „სტრახინიკებთან“ არა სიმიდლოთ მოგნათლონ და ქე-  
 თაისს ამოგაყოფიონ თავი.

1, 2 და 3 სექტემბერს გლეხებს ეკლავან აიწიეს ათასთაგები, 7 კი წმუნებულები; წმუნებულებათ გაკადენ ს. დ. მომხრეება.

სხივიშვილი




### ქართული თეატრი.

კვირას, 16 სექტემბერს, ადგილობრივ თეატრის დარბაზში ნ. გვარამის გამგეობით და ქ. დავითაშვილის, შ. დადიანის და დ. მესხის მონაწილეობით ილია ჭავჭავაძის პატივსაცემლათ წარმოდგენილ იქნა „დედა და შვილი“ და „ყაჩაღი კაკო ბლაქიაშვილი“. შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი, ბოლოს ცოცხალი სურათები. რიგიანათ შეასრულა შვილის როლი ბ. გვარამემ. კოჭლობდა შ. დადიანი ყაჩაღის როლში. კარგათ ჩაატარა ბოლომდის

თავისი როლი გვარამემ (ხედარი) ხმამაღლა ყვირილი შუაზე ყოფდა მსმენელთა ყურადღებას ფურნის პური, საინებზე დალაგებული, (დაჭრილი სუფთათ), ჭიქები, ნიტრით ღვინო, ხელსახოცები, მწვანელი... აი რა შეადგენდა ყაჩაღის სუფრას შუაგულ ტყეში!.. მიკვირს, რატომ ატვის კონსერვებიც არ მიუმატეს დესერტათ! მგრძნობიარეთ წაიკითხა ლექსი „ქართველის დედა“ ქ. დავითაშვილმა“ გვარამეს წიგნმა უშველა, თვარა თავისი „იანიჩარის“ უკანვე გაბრუნდებოდა. ცოცხალი სურათებიდან გვარამი იყო სურათი „განდევილიდან“ განდევილი და ქალი. თეატრი სავსე იყო ხალხით.

რედაქტორ-გამომცემული ალ. კოხრაიძე.

ს ა მ დ რ ო რ ს ა მ მ ე ც ნ ი ა რ ო



გამომცემლობა  
„კალაქი“

„ამაბი სინათლე“!

გამოვიდა და იყიდება  
ყველა წიგნის მალაზიებსა და გაზეთების აგენტებთან „კოლხიდა“-ს  
გამოცემა.

„ანარქიზმი“

ნ. უ.

ფასი 30 კობ.

